საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 30 აპრილი, 2014 წელი.

№84 (7465)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჩებით ბუჩთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ადგილობრივი არჩევნები საპარლამენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელი ეტაპია

3

ვისთან და როგორ მუშაობს რუსული პოლიტიკა?

აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაში ანტიდასავლური მოძრაობა დაიწყო

2

საპატრიარქომ რაც გინდა თქვასო, პარლამენტმა კი თავისი „ფქვასო“?!

5

როცა მიზანი ამართლებს საბიუჯეტო ხარჯებს

9



აი, რატომ თვლის საპატრიარქო ანტიდისკრიმინაციულ კანონს ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად!

15 წლის მოზარდის გაუპატიურების ბრალდებით ერაყის მოქალაქეა დაკავებული

თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა 1993 წელს დაბადებული ერაყის მოქალაქე დააკავეს, რომელსაც სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება ედება ბრალად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოქიებამ დადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე, თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში არასრულწლოვანი ბიჭი მოტყუებით მიიყვანა, შემდეგ ძალის გამოყენებით მასთან სქესობრივი კონტაქტი დაამყარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მოგვიანებით დაზარალებულმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოქიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე დააკავეს.

გამოქიება სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

შემთხვევა თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე მოხდა. მომხდარის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ამ ქუჩის მცხოვრებლებმა უამბეს.

„დილის 8 საათი იქნებოდა, კარზე ბრახუნის ხმა გავიგეთ. გავაღეთ კარი, ატყდა წი-ვილ-კივილი, იყო 15-16 წლის მოზარდი ბიჭი, თითქმის შიშველი, პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული და შველას ითხოვდა. რამდენიმე წუთში გაურკვეველი წარმომავლობის უცხოელიც მოვიდა და ბავშვის გაყვანას ითხოვდა, თუმცა, არ გავატანეთ, რის შემდეგაც ერთ-ერთმა უცხოელმა ბავშვს ტანსაცმელი მიუტანა. როგორც მოზარდმა გვითხრა, მისი გაუპატიურების მცდელობა იყო. მან თქვა, რომ სამი უცხოელი იყო და მოტყუებით გამოეპარა მათ. ჩვენ პატრული გამოვიძახეთ, საპატრულო პოლიციის მოსვლამდე ისინი გაიქცნენ“, - განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

მისივე ინფორმაციით, მოზარდმა მას უთხრა, რომ თავად „გლდანის გამანაწილებელში“ ცხოვრობს, ხოლო უცხოელებს იმიტომ გაჰყვა, რომ სიგარეტს და საკვებს დაპირდნენ.

7

„ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას ჩვილი ბავშვებით ვაჭრობაში ადანაშაულებენ

6

პარკირების გადასახადის „ერთობლივი მფლობელობის“ ბუნდოვანება

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

მიხეილის საავადმყოფოს ეკლესია და მიმდებარე ტერიტორია საპატრიარქოს გადაეცა

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, დავით აღმაშენებლის №60-ში მდებარე 472 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები სიმბოლურ ფასად, 1 ლარად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცემა.

პრემიერ-მინისტრის შესაბამისი განკარგულება მთავრობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

ამასთან, საპატრიარქოს აღნიშნული შენობა ნაგებობა გარკვეული საპრივატიზაციო პირობით გადაეცა. კერძოდ, არა უგვიანეს 3 თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან უნდა გაფორმდეს ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ძეგლის დაზიანებისა და განადგურებისაგან დაცვა და ისტორიულ-კულტურული ღირებულების შენარჩუნება.

პრემიერის განკარგულების შესრულება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უნდა უზრუნველყოს.

როგორც ქონების ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, საუბარია ყოფილი მიხეილის საავადმყოფოს მიმდებარედ არსებული ეკლესიის ტერიტორიაზე და არა უშუალოდ საავადმყოფოსა და იმ ორ ფლიგელზე, რომელთაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვთ.

ან პენსია, ან ხელფასი

პენსიონერები, რომლებიც საარჩევნო კომისიების წევრებად იმუშავებენ, კომისიის წევრობის ხელფასთან ერთად პენსიას ვერ მიიღებენ.

ამასთან დაკავშირებით, „ინტერპრესნიუსს“ ინფორმაცია რამდენმე პენსიონერმა მიაწოდა, რომლებსაც პარტიებმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობა შესთავაზეს.

მათი ინფორმაციით, კომისიის წევრობის შემთხვევაში ისინი ხელფასის სახით 160 ლარს მიიღებენ, თუმცა, კომისიაში მუშაობის პერიოდში პენსიას, 150 ლარს ვერ აიღებენ. მათივე თქმით, ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე მსგავსი შეზღუდვა არ არსებობდა.

აღნიშნული ინფორმაციის შესახებ კომენტარის მისაღებად „ინტერპრესნიუსი“ რამდენიმე სახელმწიფო უწყებას დაუკავშირდა, თუმცა, კომენტარი ამ დრომდე არ გაკეთებულა.

ინტერპრესი

◎ ანკეტი

რუსეთის ფედერაციამ საქართველოში, შვეიცარიის საელჩოს დახმარებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონისა და საქართველოს რუსულენოვანი მოსახლეობისთვის, რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობების გამარტივებული წესით გაცემის შემდეგ, მეორე გეგმა აამოქმედა. კერძოდ, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაში ახალი პროვოკაციული, ანტიდასავლური მოძრაობა დაიწყო.

გარკვეული ადამიანების ჯგუფი, მათ შორის დევნილებიც, აქტიურად დადიან აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დასახლებებში და ავრცელებენ ინფორმაციას, რომ თუ საქართველო მიუერთდება რუსეთს, აფხაზეთი დაბრუნდება. როგორც ირკვევა, გაურკვეველი სტატუსის მატარებელი ადამიანები პრორუსულ პროპაგანდას დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებაში დაახლოებით ორი თვეა ეწევიან.

ამ ინფორმაციას პოლიტიკური გაერთიანება „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი, პაატა დავითაიაც ადასტურებს. მისი ინფორმაციით, ამგვარი აზრი პერმანენტულად ვრცელდება მასებში. დავითაიას განცხადებით, რუსეთის სპეცსამსახურები ანგარიშს უწევენ იმას, რომ აფხაზეთიდან დევნილებს საბრძოლო მოქმედებების გამოცდილება აქვთ და, ომი რომ დაიწყოს, მათ წინააღმდეგ იომებენ. დავითაიას თქმით, სპეცსამსახურების პრევენცია ის არის, რომ ძალა, ვინც შეიძლება იარაღი აიღოს ხელში, თავისი იდეოლოგიით გაანეიტრალოს და ეს მუშაობა დაწყებულია.

„ხელისუფლებას თუ გონია, ეს ლოიალობა მას ხელს შეუწყობს რუსეთთან ურთიერთობაში, მაშინ გაიხსენოს, რომ იანუკოვიჩს რუსეთის წარმომადგენლები ჰყავდა უშიშროებაში, სამთავრობო დაცვაში, პარლამენტში, ბაზები დაუკანონა და რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. მითხარით, რა შედეგი მიიღო? მას დღეს მოსკოვშიც კი არ ღებულობენ. საქართველოში რუსული ძალის გარკვეული ფორმით შემოსვლისთვის მიმდინარეობს ფონის შემზადება, ხელისუფლების უსუსურება კი მდგომარეობს იმაში, რომ ამ პროცესს ხელს უწყობს“, — აცხადებს პაატა დავითაია.

ფაქტის კომენტირებისთვის ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს დავუკავშირდით, თუმცა, მათ სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს. ექსპერტები კი თვლიან, რომ ხელისუფლების პირდაპირი ვალდებულებაა, აღკვეთოს ე.წ. „მოხალისეების“ ჯგუფის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, რომლებიც ემსახურებიან ოკუპანტებს.

გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრის თავმჯდომარე თენგიზ ფხალაძე ამბობს, რომ ეს არის კრემლის პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც აქტიურად გამოიყენება.

„პირველი შემთხვევა არაა, რომლის შესახებაც მესმის. ესენი არიან ე.წ. „საზოგადოებრივი ორგანიზაციები“, ე.წ. „მოხალისეები“, რომლებიც პირდაპირ ფინანსდებიან რუსეთის ფედერაციიდან. ჩვენ თუ ჩავხედავთ იმ სახელმწიფო დოკუმენტებს, რომლებიც მათ აქვთ, ეს არის თანამემამულეებთან მუშაობის ხუთწლიანი პროგრამა, ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა, „რუსკი მირის“ კონცეფცია და ა.შ. ღია დოკუმენტებზე მაქვს ლაპარაკი.

ამ ორგანიზაციების საქმიანობა გაწერილია იმ დოკუმენტებში, რომლებსაც ოფიციალურად ამზადებს და ადასტურებს რუსეთის ხელისუფლება. ეს არის რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა და არა რომელიმე ორგანიზაციის თვითშემოქმედება“, — ამბობს ფხალაძე.

მისივე განცხადებით, ჯერ კიდევ 90-იან წლებში ე.წ. „მოხალისეებისგან“ შემდგარი 5-6-კაციანი ჯგუფები დადიოდნენ აფხაზეთის მაღალმთიან სოფლებში, მოსახლეობას ანკეტებს ავსებინებდნენ და ამის შემდეგ კი აძლევდნენ რუსეთის პასპორტს. მისივე განცხადებით, დღეს ისტორია მეორდება, რაც ძალიან საშიში პროცესია.

„ეს სახიფათოა. ვიცი, ეს ყველაფერი როგორ ხდებოდა უკრაინაში. სწორედ, ანალოგიური „მოხალისეები“ იყვნენ იქაც. ვიცი როგორ მუშაობენ მსგავსი ჯგუფები, როდესაც ვამბობ ვიცის, ეს მოსმენილი კი არ მაქვს, მართლა ვიცი, როგორ მუშობდნენ მსგავსი ჯგუფები ბალტიის სახელმწიფოში. განსაკუთრებით ლატვიაში რუსულენოვან მოსახლეობას ეუბნებოდნენ, რომ არ აეღოთ ლატვიის მოქალაქეობა და პასპორტი, ჩვენ დაგეხმარებითო. იგივე მეთოდოლოგია ხორციელდება აქ.

ჩვენ არც „კუდიანებზე“ ნადირობა უნდა დავიწყოთ და არც უნდა გადავუხვიოთ იმ სამართლებლივ ჩარჩოებს, რაც უნდა ჰქონდეს დემოკრატიულ სახელმწიფოებს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ არ აღიკვეთოს ქვეყნის და ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო პროპაგანდა.

ყველას აქვს აზრის გამოხატვის საშუალება, მაგრამ იმავდროულად, ისევ და ისევ, ნებისმიერი დემოკრატული ქვეყნის კანონმდებლობით, აკრძალულია ის ქმედებები, რომელიც მოუწოდებს ქვეყნის ინტერესების შეცვლის საწინააღმდეგოდ. როდესაც პროპაგანდა ეწევა ოკუპანტ ძალას, ეს არის საშიში სახელმწიფოებრიობისათვის. ეს ძალიან კარგად უნდა იქნას გათავისებული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, იმიტომ, რომ ემსახურები ოკუპანტს, უნდა იქნას აღკვეთილი“, — აცხადებს თენგიზ ფხალაძე.

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, ე.წ. მეხუთე კოლონას სწორედ დევნილებზე აქვთ გათვლა გაკეთებული.

„დევნილები არიან ის სამიზნე ჯგუფი, რომელზეც გათვლა აქვს გაკეთებული იმ მეხუთე კოლონად წოდებულ, უკეთეს შემთხვევაში, გონებაშეცდენილ ადამიანებს. რასაკვირველია, დევნილთა დასახლება ის სივრცეა, სადაც მრავალწლიანი ტანჯვით გაწვალებული ადამიანები, მარტივად წამოეგებიან ასეთ მოწოდებას, რომ რუსეთი მხსნელია, თითქოს, ვაშინგტონმა ან ბრიუსელმა დაიპყრო აფხაზეთი.

საუბარი იმაზე, რომ რუსეთი დაგვიბრუნებს რამეს, ჯერ უნდა ვეცადოთ, რომ მოვისმინოთ თავად რუსეთის ხელმძღანელობისგან, რომლებიც ჯიუტად საუბრობს იმაზე, რომ არავითარ შემთხვევაში არ გადახედავენ ახალ რეალობას. მხოლოდ ერთიანობა ქართული საზოგადოებისა და სიმტკიცე იქნება საფუძველი წარმატებული პერსპექტივისთვის“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

თამთა ქარჩავა

ვისთან და როგორ მუშაობს რუსული პოლიტიკა?

აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაში ანტიდასავლური მოძრაობა დაიწყო

◎ ახალი ხრიკი

საქართველო და რუსეთის მიერ დაპირებული მოქალაქეობა

საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს განუმარტავს, რომ ისინი დაკარგავენ ამ სტატუსს რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში. ეს განცხადება საგარეო უწყებაში რუსეთის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ კანონთან მიმართებით გაკეთდა და იქვე საპასუხო სამართლებრივი სვლის აუცილებლობასაც გაესვა ხაზი. აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლება სიფრთხილით ეკიდება კანონს, რომლის ჭრილშიც ბევრმა დაინახა რუსეთის ავი ზრახვები.

„ეს კანონი ჩვენთვის ცნობილია და ჩვენი იურისტები მას გულდასმით სწავლობენ“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა, რომლის აზრითაც, საქართველოს საპასუხო ქმედებები მოეთხოვება:

„ჩვენ ძალიან ყურადღებით ვაკვირდებით ამ პროცესს და მიმაჩნია, რომ ამას აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ სამართლებრივი კონტრზომებით. რა თქმა უნდა, გამომდინარე იმ კანონიდან, რომელიც მიიღო რუსეთის ფედერაციამ. სწორედ ამ კანონთან უნდა მოხდეს ჩვენი კანონმდებლობის შედარება. თქვენ იცით, რომ ორმაგი მოქალაქეობა გამორიცხულია საქართველოს კანონმდებლობით ან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იღებენ... და სწორედ აქ უნდა ვეძებოთ, თუ როგორ უნდა გაეცეს პასუხი ამ კანონს“.

ვლადიმირ პუტინის მიერ 21 აპრილს ხელმოწერილი ფედერალური კანონი, რომელსაც საქართველოს საგარეო უწყება ყურადღებითა და სიფრთხილით აკვირდება, აწესებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღების გამარტივებულ პროცედურას უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და აღიარებული არიან „რუსული ენის მატარებლებად“ (носителями русского языка).

„რუსული ენის მატარებელი“ — ამ სტატუსის მისაღებად, ფედერალური კანონის თანახმად, საგანგებო კომისიების წინაშე გასაუბრებას გაივლის ყველა მსურველი — უცხო ქვეყნის მოქალაქე თუ მოქალაქეობის არმქონე პირი. ეს კომისიები დაკომპლექტებული იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოებისა და ფედერალური ორგანოს მიერ, რომელიც ახორციელებს მიგრაციის კონტროლსა და ზედამხედველობას.

კანონის მიხედვით „რუსული ენის მატარებლად“ აღიარებული იქნებიან ის პირები, რომლებიც ფლობენ რუსულ ენას და ყოველდღიურად იყენებენ მას „საოჯახო-საყოფაცხოვრებო და კულტურულ სფეროებში“ — „თუ ეს პირები ან მათი ნათესავები „პირდაპირი აღმავალი ხაზით“ მუდმივად ცხოვრობენ ანდა ადრე მუდმივად ცხოვრობდნენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ანდა ტერიტორიებზე, რომლებიც მიეკუთვნებოდა რუსეთის იმპერიას ან საბჭოთა კავშირს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში“.

ანალიტიკოსების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ კანონის ეს დებულება არ შეეხება უშუალოდ საქართველოს, რადგანაც ის მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში მცხოვრებ პირებს ან მათ ნათესავებს ეხებათ. თუმცა, სხვები ფიქრობენ, რომ კანონი სხვადასხვანაირად წაკითხვისა და იმდენად ფართოდ მოქმედების საშუალებას იძლევა, რომ ნამდვილად მოითხოვს სიფრთხილესა და წინდახედულებას, რუსეთის წარსული ქმედებების გათვალისწინებით. ვრცელდება ხმები რუსეთის პასპორტების დარიგების ფაქტების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა, საგარეო უწყების ინფორმაციით, ასეთი ფაქტების არსებობა არ დასტურდება ჯავახეთში.

კანონის თანახმად, პირები, რომლებიც უარს იტყვიან უცხო ქვეყნის მოქალაქეობაზე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობას მიიღებენ რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრების ვადების დაუცველად, რუსული ენის ცოდნის შესაბამისი დონისა და ქვეყანაში ცხოვრების უფლების წარდგენის გარეშეც. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იქნება შესაძლებელი. ამასთან, რუსეთის მოქალაქეობის მიღების მსურველებისთვის კანონი ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფას ითვალისწინებს, ქვეყანაში შესვლისა თუ დროებითი საცხოვრებლის მიღების თვალსაზრისით.

ერთი სიტყვით, გაცილებით მარტივდება რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცედურა, რაც შესაძლოა, მიმზიდველი აღმოჩნდეს ბევრისთვის და, მათ შორის, საქართველოშიც. თუმცა, ვლადიმირ პუტინის მიერ ხელმოწერილი კანონის მიღმა ბევრი ხედავს რუსეთის მიერ აქამდეც უკვე ბევრჯერ აპრობირებულ ავ ზრახვებს. ამ კანონს საფრთხის შემცველად მიიჩნევს პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძეც. როგორც ის ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რუსეთი ევრაზიული კავშირის შექმნის მიზანს არ ღალატობს და ამ გეგმით მოქმედებს:

„საუბარია იმაზე, რომ ეს რუსეთის მხრიდან იქნება მთელი ამ ზონის კონტროლის ძალიან მძლავრი მექანიზმი, იმიტომ რომ დღემდე რაც ვნახეთ ჩვენ, მაგალითად, როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ასევე ყირიმში, მთავარი მოტივი, რითიც რუსეთი შედის და იპყრობს ამ ტერიტორიებს, არის საკუთარი მოქალაქეების დაცვა. რუსეთი ახლაც ამის ფორმალური საფუძვლის შექმნას ცდილობს“.

გულისხმობს თუ არა საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტებები დამატებითი შეზღუდვების დაწესებას ორმაგი მოქალაქეობის მიღების მსურველებისთვის, ეს ჯერჯერობით უცნობია და ამის შესახებ არც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში იციან, თუმცა, როგორც რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას აღნიშნავს ორგანიზაციის იურისტი ნონა ქურდოვანიძე, შეზღუდვები წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს დღეს მოქმედ საკანონმდებლო ბაზასთან და, ცხადია, კონსტიტუციასთან.

ლელა კუნჭულია
რადიო „თავისუფლება“

ადგილობრივი არჩევნები საპარლამენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელი ეტაპია



მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით სამშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგსა და ფსიქოლოგს რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებდით ადგილობრივი არჩევნებისათვის მზადების ფარგლებში სპორტის სასახლეში გამართული „ქართული ოცნების“ სტარტს?

— ანალოგიურ სასტარტო ღონისძიებას ყოველთვის უფრო წარმოდგენის, საკუთარი ძალების დემონსტრირების ფუნქცია აქვს ხოლმე და ასეთი დემონსტრაცია, ვფიქრობ, შედგა, თუ გავითვალისწინებთ იმ ენერგეტიკას, რომელიც ჩემი დაკვირვებით სპორტის სასახლის დარბაზში სუფევდა, ვგულისხმობ, ცუდი ამინდის მიუხედავად, ხალხის რაოდენობასა და იქ შეკრებილთა განწყობას.

— კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკომ ბრძანა, რომ მერობის კანდიდატურებზე მსჯელობა კარგა ხანს მიმდინარეობდა და პარტიას არჩევანი მაინც და მაინც პარტიული კუთვნილების მიხედვით არ გაუკეთებია. თქვენი აზრით, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა კოალიციამ მერობის კანდიდატთა შერჩევისას და რამდენად სწორად შეარჩია მმართველმა გუნდმა მერობის კანდიდატები?

— ჩემთვის, ისევე როგორც მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელიც ადგილობრივ არჩევნებზე უშუალოდ თავის კანდიდატზე არ მსჯელობს და სხვა რეგიონის კანდიდატზე მსჯელობს, ამის თქმა რთულია. ადგილობრივ არჩევნებს ეს სპეციფიკა აქვს, რეგიონი უნდა იცნობდეს ასარჩევ პიროვნებას. ამდენად, ჩემთვის დასახელებულ კანდიდატთა დახასიათება ძნელი იქნება. ჩემი აზრით, იკვეთება ის, რომ კანდიდატები შერჩეული იყვნენ უფრო რეგიონთან სიახლოვისა და პროფესიონალიზმის ნიშნით, იმდენად, რამდენადაც, პრემიერ-მინისტრმა ხშირად მიანიშნა მათ პროფესიულ ცენზზე, ანუ, ეკონომისტი, იურისტი და ასე შემდეგ. როგორც ჩანს, კანდიდატურებზე მსჯელობისას პროფესიული ნიშნები იყო განმსაზღვრელი.

— რეგიონებში „ქართული ოცნების“ აქტივისტები ამტკიცებენ, რომ კოალიციამ რეგიონული და რაიონული საარჩევნო შტაბები დააკომპლექტა „ნაციონალების“ ყოფილი ზონდერებით. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ქართული ოცნების“ „ძველი გვარდია“ ისე ხმამაღლა საუბრობს ამის შესახებ, უხერხულიც კია, არ დაისვას კითხვა — რა ხდება „ოცნების“ რეგიონულ ორგანიზაციებში? კოალიცია თავის აქტივისტებს არ ენდობა და „ნაციონალების“ გამოცდილი კადრებით აპირებს არჩევნების მოგებას თუ რასთან გვაქვს საქმე?

— პოლიტიკაში ხშირად ხდება ხოლმე, რომ „ძველი გვარდია“ ხელისუფლების მხრიდან ყურადღების გარეშე რჩება, ვინაიდან „ეს გვარდია“, ყოველთვის გაცილებით დიდია, ვიდრე ის რაოდენობა ადგილებისა, რომელიც ხელისუფლებას აქვს. მაგრამ, მგონია, ახლა ზოგადად ამ მოვლენასთან არ გვაქვს საქმე, იმდენად, რამდენადაც, შეიძლებოდა ახალ კადრებზე საუბარი, ანუ, არც ძველ გვარდიას რომ არ ეკუთვნის, მაგრამ ახალი სახეებია, ისე, რომ ეს სახეები არ ყოფილიყვნენ ასოცირებული „ნაციონალებთან“.

ჩემი აზრითაც, საქმე, შესაძლოა, იმასთან გვქონდეს, რაც თავადაც ბრძანეთ და გამოცდილ კადრებს ეხება. ფაქტია, რომ „ნაციონალების“ „გვარდიას“ საარჩევნო პროცესებში საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს. არ გამოვრიცხავ, რომ აქ „ნაციონალების“ მხრიდან „ტროას ცხენის“ ეფექტი იყოს ჩადებული. „ნაციონალები“ დაინტერესებული არიან ადგილობრივ არჩევნებში სერიოზული შედეგის მიღწევით. მათ არა მარტო იციან საარჩევნო ტექნოლოგიები და ის, თუ როგორ მოიგონ არჩევნები, არამედ ისიც, მერე ადგილობრივ თვითმმართველობებში როგორ გამოიყენონ თავისი ხალხი იმისთვის, რომ საპარლამენტო არჩევნებში ის სურათი მიიღონ, რაც მათ სურთ, ანუ „ნაციონალებს“ ადგილობრივი ბერკეტების გამოცდილება აქვთ.

ასეთი დიდი დოზით „ნაციონალების“ შესვლა კოალიციის საარჩევნო შტაბებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქართული ოცნების“ ტანსაცმლით“, შეიძლება გულისხმობდეს სწორედ იმას, რომ ადგილებზე გაყვანილი იქნან რაც შეიძლება მეტი ისეთი პიროვნებები, რომელი პარტიის სახელითაც არ უნდა იყოს, რომ, როცა დასჭირდება „ნაცმოძრაობას“, „ნაციონალებისთვის“ მაშინ აამოძრავებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ბერკეტებს. ამიტომ, მეტაფორა „ტროას ცხენი“ სწორედ მაგიტომაც ვიხმარე.

— იმის გათვალისწინებით, რომ მოახლოებული ადგილობრივი არჩევნები თვისობრივად მართლაც განსხვავებული იქნება, თქვენი აზრით, ადგილებზე რეალურად არსებობენ თუ არა ადგილობრივი ელიტები, რომლებსაც შესწევთ უნარი ადგილობრივ საქმეებზე აიღონ პასუხისმგებლობა და კანონმდებლობის შესაბამისად საქმე რეალურად თავად აკეთონ? კითხვა იმის გამო შეიძლება იყოს ლოგიკური, რომ ადგილობრივი ელიტები ყოველთვის მოქმედებდნენ პრინციპით — „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“ ჯერ კომუნისტების მხარდამჭერები იყვნენ, შემდეგ — „მრგვალი მაგიდის“, შემდეგ — „მოქკავშირის“, მოგვიანებით კი — „ნაცმოძრაობის“ — ანუ, თქვენი დაკვირვებით, ადგილებზე მნიშვნელოვნად შეცვლილია პოლიტიკური განწყობები და არსებობს თუ არა იმის რესურსი, რომ თვითმმართველობა ცენტრალური ხელისუფლების ნება-სურვილის მიუხედავად, რეალურად იქცეს ხალხის ხელისუფლებად?

— ამ მხრივ რაიმე რომ შეიცვალოს, საუბარია სერიოზულ მსოფლმხედველობრივ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებზე, ისინი სხვა ფაქტორებმა უნდა გამოიწვიოს. ამ პერიოდის განმავლობაში, კომუნისტებიდან მოყოლებული „ნაციონალებით“ დასრულებული, არც არაფერი შეცვლილა. თუკი ადგილებზე ხელისუფლების ორგანოებს არ ექნებათ იმის უფლებრივი და ეკონომიკური ბერკეტები, რომ თავად განაგონ თავისი ბედ-იღბალი, ის ყოველთვის იქნება „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს“! პრინციპზე.

დღევანდელ კანონმდებლობაში არის მცდელობები, რომ გაიზარდოს ადგილობრივი მმართველობების წილი, მაგრამ ჯერ ეს კანონმდებლობა ადგილებზე არ ამუშავებულა. ასე რომ, ამ კანონს ჯერ თავისი ელიტა არ ჩამოუყალიბებია. რეგიონული ელიტები გარკვეულ ვითარებაში კანონმდებლობის ფარგლებში ყალიბდებიან. ელიტები იმ კანონების შესაბამისად „მწიფდებიან“ და ადაპტირდებიან, თუ როგორია კანონმდებლობა.

ვიდრე ადგილობრივ ხელისუფლებას რეალური ძალაუფლება არ ექნება, მანამდე არც ის არ გადაიქცევა ადგილზე ხალხის ნება-სურვილის გინდ გამომხატველად და გინდ წარმმართველ ძალად. ის ყოველთვის ცენტრალური ხელისუფლების ხელის შემცქერი იქნება და ჩვენი რეგიონული თვითმმართველობა ყოველთვის იქნება იმის ძიებაში, აბა ვის აქვს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა და ვინ მოახერხებს ამ ურთიერთობის ხარჯზე რეგიონისთვის რაიმეს გაკეთებასო, ჯერჯერობით, ისევ ცენტრია ყველაფრის თავი და თავი, ვინაიდან ისინი ისე ძლიერები არ არიან, რომ ცენტრისგან დამოუკიდებლად რაიმე აკეთონ, ანუ კვლავ ძალაშია ცენტრალური ხელისუფლების ნება და მასთან სიახლოვე.

— თქვენმა კოლეგამ, პოლიტოლოგმა ვახტანგ ძაბირაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ასეთი აზრი გამოთქვა — „ადგილობრივი არჩევნები იქნება უკანასკნელი არჩევნები, რომელშიც ამომრჩეველი „ქართულ ოცნებას“ მხარს დაუჭერს“. ეთანხმებით თუ არა ბატონ ვახტანგს? და თუ კი, თქვენი აზრით, რატომ შეიძლება ასე მოხდეს?

— საერთოდ, ბატონ ვახტანგს ბევრ რამეში ვეთანხმები და ძალიან მიყვარს მისი ანალიზი, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი თავდაჯერებული მე ნამდვილად ვერ ვარ. ჩემი აზრით, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პორტრეტი ჯერ არ ჩამოყალიბებულა ისეთ მკვეთრ შტრიხებში, რომ წინასწარმეტყველება ავაგო.

„ვარდების რევოლუციის“შემდეგ, ხელისუფლებაში მოსული „ნაცმოძრაობა“ არ იყო გამოუცდელი. მისი ლიდერები ჟვანია-ბურჯანაძე-სააკაშვილი წინა ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობებზე იყვნენ და მათ იცოდნენ, რა არის სახელმწიფო და თანამდებობაზე მოქმედების წესები. „ოცნების“ ხელისუფლებას ასეთი გამოცდილება ზურგს არ უმაგრებდა. ის თან მართავს და თან მართვის პროცესში სწავლობს. მან ერთ წელიწადში საკმაოდ დიდი გზა გაირა თავისი მინუსებით და პლუსებით. შესაბამისად, დღეისათვის ცოტა ძნელია იმის თქმა, თუ როგორ ჩამოყალიბდება. მას პლუსები უკვე დაუგროვდა. მომავალ ერთ წელიწადში თუ როგორ ნიშნებს შეიძენს და რა თვისებებს გამოავლენს „ქართული ოცნება“, მე ამის თქმა გამიჭირდებოდა. რადგან ის მოტივი, რამაც ბატონ ვახტანგს ათქმევინა ეს ფორმულა, დაკავშირებულია იმედგაცრუებებთან. მოახერხებს თუ არა „ქართული ოცნება“ თავისი ენერგიული მოქმედებებით მოსახლეობის გულის მოგებას, ეს ჯერ კიდევ წინაა. თავად „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა ადაპტაციის პერიოდი. მე თუ მკითხავთ, მათთვის ეს პერიოდი ჯერ არ დასრულებულა.

„ქართული ოცნების“ სტილი აშკარად შეიცვალა მას მერე, რაც პრემიერი გახდა ღარიბაშვილი. მისი სტილი უფრო მკვეთრი გახდა. საბოლოოდ, მისი სტილი კიდევ უფრო გამკვეთრდება, თუ პირიქით ჩაქრება, ამას დრო გვიჩვენებს. გამორიცხული არ არის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კარგად გააანალიზოს განვლილი პერიოდი. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ანალიზი და დასკვნები ნაკლებად კეთდება იმაზე, თუ რა მიმართულებით უნდა შეიცვალოს, თუ რა უნდა შეიცვალოს.

არ გამოვრიცხავ იმას, რომ ქართულმა ოცნებამ“ მომავალში კიდევ მოიპოვოს ამომრჩევლის მხარდაჭერა. ეს კიდევ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი იქნება ოპოზიციური სპექტრი, ანუ ალტერნატივა გაჩნდება თუ არა საიმისოდ, რომ მოსახლეობის ყურადღება მან უფრო მიიზიდოს, ვიდრე სახელისუფლებო პარტიამ.

— პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე ორ თვეზე ნაკლები დროა დარჩენილი, „საქართველოში ოპოზიციის დეფიციტია“, ანუ ოპოზიციური ლიდერის პრობლემაა. მისივე აზრით, ოპოზიციონერ ლიდერთაგან სიცოცხლისუნარიანობა მხოლოდ ნინო ბურჯანაძემ შეინარჩუნა და თუ უმოკლეს ვადებში პატარ-პატარა პარტიებმა ბურჯანაძესთან გაერთიანება შეძლეს, მაშინ მათ გამარჯვების რეალური შანსი ექნებათ, თუ არა და არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ექნება საშუალება, სერიოზული კონკურენცია გაუწიოს „ქართულ ოცნებას“. გარდა ამისა, მისივე აზრით, „შიდა პოლიტიკაში პოლარიზაციამ საშიშ ზღვარს მიაღწია“. თქვენი აზრით, ოპოზიციაში ნამდვილად არის თუ არა ლიდერის პრობლემა? და კიდევ, რამდენად საფუძვლიანია მტკიცება, რომ არჩევნების წინ „პოლარიზაციამ საშიშ ზღვარს მიაღწია“?

— ბატონ სოსოსაც დავეთანხმები, ოღონდ აქაც ნაწილობრივ. ოპოზიციური ლიდერის ნაკლებობაზე საინტერესო ანალიზია იმ მხრივ, რომ იგი „ნაციონალებზე“ არ საუბრობს. ანუ მას, ისევე, როგორც მე, არ მიაჩნია, რომ „ნაციონალები“ წარმოადგენენ რეალურ ოპოზიციას. საბჭოთა პერიოდში ერთ პოლიტიკურ გუნდშიც საკმაოდ გავრცელებული იყო კომპრომატების ომი. რაიკომის მდივანი თავის თანამშრომლებზე აგროვებდა კომპრომატებს, რომ მათი მართვა შეძლებოდა. კომპრომეტირებული ადამიანები ადვილად მართვადები არიან. ამისთვის სჭირდებოდა „ნაცმოძრაობასაც“ კომპრომატების უზარმაზარი ვიდეოთეკის შექმნა.

მეორე მხრივ, ბედის დაცინვაც იმაშია, რომ თავად „ნაცმოძრაობა“ აღმოჩნდა კომპრომეტირებული პარტია. ესაა გარეგნული დაპირისპირების ფონზე მაინც მართვადი კომპრომეტირებული პარტია, თუნდაც იმიტომ, რომ სულ ითხოვენ მათ წინააღმედგ სამართლებრივი დევნის შეჩერებას და უნდათ აიცილონ იმ კომპრომატების გამოვლინება და მათზე რეაგირება, რაც საზოგადოებამ უკვე იცის. ამიტომ, ისინი თავისუფალი ოპოზიციონერები არ არიან, მათ თავისი წარსული და ბედ-იღბალი ამძიმებთ. ამდენად, მართალია, როდესაც ლიდერის ძებნა აქტუალურია არა „ნაციონალებში“, არამედ სხვაგან. ვეთანხმები ბატონ სოსოს, რომ ნინო ბურჯანაძე ამ მხრივ გამოიკვეთა საპრეზიდენტო არჩევნებში. ოღონდ, აქაც მას წინგადასადგმელი ნაბიჯები კიდევ ბევრი აქვს.

მიუხედავად იმისა, თუ რომელ რეგიონებში დაიკავებენ ისინი წამყვან ადგილებს, იგივე თბილისში, თითოეულ რეგიონს ხომ თავისი ღირებულება და წონა აქვს, ბურჯანაძემ და მასთან გაერთიანებულმა ჯგუფმა უნდა მოახერხონ „ნაციონალების“ მეორე ადგილი თავად დაიკავონ და კიდევ უფრო გააძლიერონ თავისი განაცხადი უკვე საპარლამენტო არჩევნებისთვის. ადგილობრივი არჩევნები რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელი ეტაპია, ეს პოლიტიკურ პარტიებს გაცნობიერებული აქვთ, ახლა ჯერი ამომრჩეველზეა. ალბათ, მოსახლეობამაც მოახლოებულ არჩევნებს ამ თვალსაზრისით უნდა შეხედოს. როგორც ყველა არჩევნებზე, გადამწყვეტი სიტყვა მოსახლეობას ეკუთვნის. ახლა მთავარია, ისინი შეძლებენ თუ არა მესამე პოლიტიკური ძალის სერიოზულ და ანგარიშგასაწევ ძალად წარმოჩინებას.

მიმაჩნია, რომ შიდა პოლიტიკაში პოლარიზაცია არც ისე ძლიერია და არც ისე რეალურია, როგორც ჩანს და როგორც ხმაურში ისმის, მაგრამ ის, რომ ოპოზიციური ლიდერის დეფიციტი არის და არსებული ლიდერიც კი კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ამ არჩევნებში, ისევე, როგორც ეს საპრეზიდენტო არჩევნებზე მოხდა, აშკარაა. ადგილობრივი არჩევნების შედეგები ბევრად განსაზღვრავს იმას, საპარლამენტო არჩევნებზე ვის ექნება გამარჯვების ან საუკეთესო შედეგის მიღების ყველაზე მეტი შანსები.

— ალბათ, სურათი მას შემდეგ უფრო ნათელი იქნება, როცა პარტიები დეპუტატობის კანდიდატთა მაჟორიტარულ სიებს გაასაჯაროებენ, მაგრამ, თქვენი აზრით, ბურჯანაძის გარდა, არასაპარლამენტო პარტიებიდან ვის შეიძლება ჰქონდეს მოახლოებულ არჩევნებზე ხელშესახები შედეგების მიღების შანსი?

— რაც შეეხება ზურაბ ხარატიშვილის ირგვლივ ამას წინათ გაერთიანებულ ჯგუფს, თუ არ ვცდები ამ ჯგუფში არიან ეროვნულ-დემოკრატები და ევროპელი დემოკრატები. ამ ჯგუფს აქვს ერთი საერთო ნიშანი, ისინი თავის დროზე „ნაციონალების“ მიერ შექმნილი ოპოზიცია და „ნაციონალებისვე“ პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ. ამიტომ მეეჭვება, რომ ამომრჩეველმა მათ ამ არჩევნებზე რაიმე სერიოზული შედეგის დადებისა და შესაბამისი ამბიციის ქონის საშუალება მისცეს. თუმცა, ხმების გარკვეულ ნაწილს, ალბათ, მიიღებენ.

რაც შეეხება ბურჯანაძისა და კუკავას ჯგუფებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჯგუფს ძალიან კარგი წარმომადგენლობა ჰყავს, უკეთესი იქნებოდა მათ არ გაეყოთ ხმები და ერთიანი სტრატეგიითა და ერთიანი სიით ემოქმედათ. ჯერ არ არის გვიან და ვნახოთ, დარჩენილ დროში რა მოხდება.

ნებისმიერ შემთხვევაში, სასურველია, საზოგადოებამ გაიცნობიეროს, რომ, თუ ისინი უკმაყოფილო არიან „ქართული ოცნების“ და, იმავდროულად, არ არიან „ნაციონალების“ მხარდამჭერები, მათთვის მიმზიდველი წესით მესამე პოლიტიკური ძალა უნდა აღმოჩნდეს და მათ სწორედ ის უნდა გააძლიერონ. საპრეზიდენტო არჩევნებზე მესამე ძალამ არც ისე ბევრი ხმა მიიღო. არა მგონია, ახლა მან „ქართულ ოცნებას“ ბევრი ხმა წაართვას, მაგრამ მოახლოებული არჩევნები პოლიტიკური ცენტრების ჩამოყალიბების თვალსაზრისით უფრო ხალხის ტესტია, ვიდრე კონკრეტულად რომელიმე პოლიტიკური ძალის. ლიდერებს ქმნის საზოგადოება. ლიდერი საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე ერთი ჩვეულებრივი მოქალაქეა.

ესაუბრა
კოგა გენდელიანი

◎ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐᲖᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲠᲝᲚᲘ ᲛᲘᲓᲘᲗᲝᲓᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების ოფიციალური ჩამონათვალის არარსებობის გამო ნაცმოძრაობის ელიტა პირადი შეხედულებებით ჰყიდდა უმნიშვნელოვანეს ობიექტებს. ყველასათვის უცნობი იყო ობიექტის გაყიდვისაგან, ან გრძელვადიანი იჯარით გაცემის შედეგად ბიუჯეტში შესული თანხა და ამ ფულის ხარჯვის მიზნობრიობა.

ზუსტად ამგვარი ვითარება შეიქმნა თბილისის აეროპორტის ირგვლივ. ჯერ იყო და ის თურქულ სამშენებლო ფირმას ააშენებინეს, რომელმაც დაპირების სანაცვლოდ, მშენებლობაზე 70 პროცენტს ადგილობრივ მუშახელს დავასაქმებო, სამუშაოები მთლიანად თურქეთიდან ჩამოყვანილ თანამემამულეთ შეასრულებინეს.

ექსპლუატაციაში შესვლიდან ცოტა ხანში აეროპორტის სახურავიდან წვიმა ჩამოვიდა. ხელისუფლებამ ძლივს შეძლო სამშენებლო ფირმის წარმომადგენელთა ჩამოყვანა. დროში გაიწელა სარემონტო სამუშაოები.

თითქოს ერთი ლაფსუსი უკვე აღმოფხვრილი იყო, რომ ძლიერმა ქარმა აეროპორტის შენობას სახურავი გადახადა. ამგვარი სამუშაოების შესრულებისთვის ადგილობრივ მშენებელთა მკაცრად დამსჯელი ხელისუფლება თავზე ხელს უსვამდა უცხოელებს და ყოვლად გაუმართლებელი რიტორიკით ცდილობდა მათ „დაცვას — „სახურავი ასეთ ძლიერ ქარზე არ იყო გათვალისწინებულიო“. მშენებლები დაგვიანებით ჩამოვიდნენო. როგორც წინათ, ამჯერადაც დროში გაიწელა სარემონტო სამუშაოები.

აეროპორტი ინკოგნიტო ფასად სრულ მმართველობაში გადაეცა ერთ-ერთ თურქული კომპანიის შვილეულ ფირმას — „ტავ ჯორჯიას“.

„ტავ-ჯორჯია“ როგორც კი თბილისის აეროპორტის სრული მაკონტროლებელი გახდა, უმალ დაიწყო პროტექციონისტური პოლიტიკა თავისი ქვეყნის ავიაკომპანიებისადმი. ის ერთპიროვნულად წყვეტდა მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვის, ტარიფებისა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რაზეც რეაქციამ არ დაიგვიანა, ქართული ავიაციის ფლაგმანის ხელმძღვანელმა გაიაშვილმა არა ერთი კრიტიკული განცხადება გააკეთა. იყო წერილობითი მიმართვები მთავრობის მეთაურისა და პრეზიდენტისადმი, შეხვედრები სხვადასხვა დარგობრივ მინისტრებთან. მაგრამ, ყველაფერი — უშედეგოდ. ასე გრძელდებოდა, ვიდრე ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება არ მოვიდა. მან კანონმდებლობის დონეზე მოახერხა როგორც ქართული, ისე თურქული და სხვა უცხოური ავიაკომპანიების თანაბარ პირობებში მოქცევა. დღეს არსებული სიტუაციით ყველა მხარე კმაყოფილია.

თუმცა წინა ხელისუფლებასთან საეჭვო გზებით დაახლოებული და მრავალ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას თავის არიდებას ნაჩვევი „ტავ-ჯორჯია“ კვლავაც აგრძელებს თვითნებობას.

ხელშეკრულებით „ტავ-ჯორჯიას“ ახალი ასაფრენი ზოლი უნდა აეშენებინა, რაც არ გააკეთა. მგზავრთა ნაკადის არნახული მომატების გამო ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს. მაშინ ახალმა ხელისუფლებამ საკუთარი სახსრებით დაიწყო ახალი, თანამედროვე ასაფრენი ზოლის მშენებლობა. ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი კი წინა ხელისუფლების მიერ „ტავ-ჯორჯიასთან“ დადებული გრძელვადიანი კაბალური ხელშეკრულების გამო, ამჟამად არსებულთან ახლოს ახალი აეროპორტის მშენებლობასაც აპირებდა, თავისი სრული ინფრასტრუქტურით.

ნელ-ნელა პრეტენზიები მთავრობის მხრიდანაც გაისმა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი აცხადებს: **„კომპანიას (იგულისხმება „ტავ-ჯორჯია“), აეროპორტი უნდა აეშენებინა, გაეწია მაღალი ხარისხის ოპერირება, რაღაც პერიოდის შემდეგ კი სახელმწიფოსათვის გადაეცა. მოვიწვიეთ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ექსპერტები, რომლებმაც თქვეს, რომ საჯარო (კერძო) პარტნიორობის მუდმივი განახლება ხდება. საუბარი არ არის იმაზე, რომ ჩვენ არ ვაღიარებთ ხელშეკრულებას, თუმცა, საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში, სახელმწიფოს მოთხოვნები უჩნდება მმართველი კომპანიის მიმართ“.** — აცხადებს **გიორგი კვირიკაშვილი.**

მისივე ინფორმაციით სახელმწიფომ „ტავ-ჯორჯიას“ წაუყენა საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული მოთხოვნები, რისთვისაც სპეციალური კომპანია დაიქირავა, არსებული ხელშეკრულება „ტავ-ჯორჯიას“ ასიმეტრიულ მოქნილობას აძლევს. ეს კი მათი მხრიდან არარეგლამენტირებული საქმიანობის საშუალებას აძლევს კომპანიას, რაც საჯარო ინტერესების გათვალისწინებით სრულიად დაუშვებელია, ამ მხრივ ჩვენ საკმაოდ რთულ ფაზაში ვართ. — აცხადებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.

შექმნილ არეულ ვითარებაში თავისი სიტყვა თქვა თანაინვესტორების ფონდმა. როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა ფონდმა თავისი ქმედებებით „ტავ-ჯორჯიას“ დაანახვა, რომ არსებობს კომპანიის ალტერნატივა.

უხილავ ფასად გაყიდვა და შემდეგ შემოსული თანხების უგზო-უკვლოდ ხარჯვა, ქვეყნისათვის კაბალური პირობებით ფორმირებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების თითქმის ყველა პუნქტის უაპელაციო დარღვევა და წინა ხელისუფლებიდან მათზე თვალის დახუჭვა და წაყრუება, უფრო მეტიც, დაცვა საზოგადოებისგან, ნუთუ არ არის საკმარისი მიზეზი სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რათა დაინტერესდნენ წინა ხელისუფლებისა და „ტავ-ჯორჯიას“ შორის დადებული ხელშეკრულებითა თუ კულუარული გარიგებებით.

ᲖᲐᲖᲐ ᲑᲘᲚᲘᲮᲝᲫᲔ

◎ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲙᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲦᲘᲐᲓᲐᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲔᲠᲗ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ, სამუშაო მოვალეობის შესრულებისას, საშუალოდ, 46 ადამიანი იღუპება. ვითარება უკონტროლოა. იმის მიუხედავად, რომ კანონმდებლობაში ცვლილებები საკმაოდ შევიდა, შრომის უსაფრთხოების მხრივ პროგრესი არ იგრძნობა.

ბოლო 6 წლის განმავლობაში, საქართველოში სამუშაო ადგილზე 273 ადამიანი დაიღუპა, 500-მდე კი მძიმედ დაშავდა — ასეთია მონაცემები სამუშაო ადგილებზე დასახიჩრებულთა და დაღუპულთა შესახებ. პროფკავშირების წარმომადგენლებმა ეკონომიკის სამინისტროსთან ქვეყანაში შრომის ინსპექციის გაუქმება გააპროტესტეს და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების გატარება ითხოვეს.

273 ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲘ, 500-ᲛᲓᲔ ᲓᲐᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ...

როგორც პროფესიული კავშირის გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა, 2007 წლიდან 2013 წლამდე სამუშაო ადგილებზე 273 ადამიანი დაიღუპა, 486 ადამიანმა კი მძიმე საწარმოო ტრავმა მიიღო. ამ დროს ქვეყანაში არ არსებობს შრომის ინსპექცია.

„ეკონომიკის სამინისტროში არსებობს ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია, რომელიც მუშაობის ტექნიკურ პირობებს ამოწმებს და შრომითი რესურსების სამუშაო პირობების შემოწმება კი მისი ფუნქცია არ არის. ეკონომიკის სამინისტრო და ეკონომიკური გუნდი ეწინააღმდეგება, თითქოს იმ მოტივით, რომ შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების შექმნის მოთხოვნა ინვესტორებს დააფრთხობს“, — აცხადებს პეტრიაშვილი.

შრომის დაცვის ინსპექცია საქართველოში 2006 წლამდე არსებობდა, თუმცა, შემდეგ „შრომის კოდექსში“ ცვლილებები შევიდა, ეს სამსახური გააუქმეს. ინსპექციის აღდგენამდე კი, როგორც პროფკავშირებში აცხადებენ, „ობიექტებზე უსაფრთხოების წესები დაცული ვერ იქნება“.

შრომის უსაფრთხოების პრობლემა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებულ სპეციალურ შეხვედრაზეც განიხილეს. შეხვედრაზე გამოიკვეთა მთავარი პრობლემა — სამთავრობო უწყებების არაერთგვაროვანი მიდგომა და ერთიანი პოზიციის არარსებობა.

„უსაფრთხო შრომის უფლებას დღესდღეობით ქვეყანაში არავინ იცავს, ვინაიდან არ არსებობს რეგულაცია, რომელიც მოახდენს შრომის უსაფრთხოების პირობების მონიტორინგს. სწორედ ამიტომ წამოვწიეთ ეს თემა, რომ გაგვეგო რა მდგომარეობაა ამ მხრივ, როგორია ხელისუფლების მიდგომა ამ მეტად მტკივნეული საკითხის მიმართ. არის დაპირებები, მაგრამ ჯერჯერობით რეალური ნაბიჯები არ ჩანს“, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველმა კახა საგანელიძემ შრომის ინსპექციის შექმნისა და მისი შესაბამისი კადრებით დაკომპლექტებაზე საუბრისას აღნიშნა, რომ პრობლემა უსწრაფესად ვერ გადაიჭრება, თუმცა, საკითხის განხილვაში კომპეტენტური მხარეთა ჩართვა სერიოზული მასტიმულირებელი ფაქტორია.

დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლის მიხეილ კორძახიას აზრით კი, სასურველი იქნება შრომის ინსპექციის ფუნქციები უკვე არსებულმა ტექნიკური უსაფრთხოების სამსახურმა შეითავოს. მან აღნიშნა, რომ თავად დამსაქმებელთა ინტერესშია უსაფრთხო შრომის პირობების უზრუნველყოფა.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე მთავრობის ადმინისტრაციის მრჩეველმა ბექა ნაცვლიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა და ამ ფორმატში მხარეებს შრომის უსაფრთხოების მოგვარებისთვის გზების მოძებნის საშუალება ექნებათ.

მიუხედავად დისკუსიების, მსჯელობების და შრომის კოდექსში შესული ცვლილებებისა, უსაფრთხოებისა და დასაქმებულთა ჯანმრთელობის საკითხი მთელი ქვეყნის მასშტაბით კვლავ ღიადაა დატოვებული.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲠᲝ�გᲐᲢᲘᲕᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ მინისტრის პირველმა მოადგილემ პარლამენტს „მოქალაქეობის შესახებ“ კანონი მესამე მოსმენით წარუდგინა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ალექსანდრე ბარამიძემ კიდევ ერთხელ განმარტა ის მიზეზები, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობის საკითხების ახლებური რეგულაციის აუცილებლობა გამოიწვია.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, დღეს მოქმედი კანონი 1993 წელს არის მიღებული, რის შემდეგაც არსებითად შეიცვალა ზოგიერთი ფაქტობრივი გარემოება. გარემოებათა ცვლილებების პარალელურად, კანონში დროდადრო შედიოდა შესწორებები, რის გამოც მისი ზოგიერთი მუხლი წინააღმდეგობრივი გახდა, ზოგიერთი კი — მოუქნელი და გამოუსადეგარი.

ალექსანდრე ბარამიძის განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაეროს 1961 წლის კონვენციასთან საქართველოს მიერთების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამაც გამოიწვია.

— კანონპროექტის მთავარი სიახლე არის ის, რომ მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურები პრეზიდენტის პრეროგატივა იქნება. თავდაპირველი ვერსიის თანახმად, პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით სჭირდებოდა პრემიერ-მინისტრის თანხმობაც. ვფიქრობ, ამ უფლების პრეზიდენტზე გადაცემით კანონი შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს კონსტიტუციასთან, — განაცხადა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ.

კანონი ახლებური მიდგომებს ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურასა და მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლებში.

ᲑᲐᲥᲝᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

ᲑᲐᲥᲝᲨᲘ ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე ამირან შეყრილაძე დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას აზერბაიჯანული მედია ავრცელებს. ნარიმანოვის რაიონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა შეყრილაძეს ჩხრეკისას 1,2 კილოგრამი ჰაშიში აღმოუჩინეს. როგორც ბაქოს პოლიციის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების მიზნით უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡᲝ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ „ᲗᲥᲕᲐᲡᲝ“?!

ᲐᲜᲢᲘᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲣᲚᲘ კანონპროექტის გარშემო ვნებათაღელვა არ ცხრება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე პარლამენტს კანონპროექტის განხილვის გადადებას სთხოვს, მმართველი გუნდი კი ცვლილებების მიღებისთვის ემზადება.

for.ge-ს ინფორმაციით, უმრავლესობამ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტზე 25 აპრილს, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან გამართულ შეხვედრაზე იმსჯელა და დახურულ სხდომაზე ცვლილებებს მხარდაჭერა გედევან ფოფხაძის გარდა ყველა დეპუტატმა აღუთქვა.

როგორც for.ge-ს კულუარულ საუბარში ერთ-ერთმა კანონმდებელმა განუცხადა, მმართველ გუნდში მზადყოფნაა, რომ ცვლილებები მესამე მოსმენით დამტკიცდეს.

„ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ სხდომაზე, ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტზე უფრო მეტი იმსჯელეს, ვიდრე საარჩევნო სიაზე. ცვლილებებს გედევან ფოფხაძის გარდა, მხარს ყველა დეპუტატი უჭერს. მათ შორის, პროექტი დადებითად შეაფასა ბიძინა ივანიშვილმაც, რომელმაც მოგვიწოდა, რომ პარლამენტმა ინიციატივა მიიღოს“, — აცხადებს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი.

მთავრობის მიერ მომზადებულ პროექტს მეორე მოსმენით მუხლობრივად ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი განიხილავს და საჯაროდ თუ რა შეფასებას გააკეთებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე, ეს ხვალ გახდება ცნობილი, მაგრამ უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე პარლამენტს ცვლილებების გადადებას სთხოვს.

პატრიარქის განცხადება დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა გაახმოვანა, რომლის ცნობითაც, ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს მომაკვდინებელ ცოდვად სამართლიანად მიიჩნევს, ხოლო წარმოდგენილი ფორმით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად თვლის.

განცხადების თანახმად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი პარლამენტს მიმართავს, უზრუნველყოს ეკლესიისა და ფართო საზოგადოების ჩართულობა პროექტის განხილვაში, რათა შეთანხმება მიიღწეს და ნაჩქარევმა ქმედებამ უარყოფითად არ იმოქმედოს ევროპისაკენ ქვეყნის სწრაფვაზე.

„საზოგადოების აზრით, ეს კანონპროექტი ყველა რელიგიის აღიარებული ძირითადი თეორიის ეჭვქვეშ დაყენებას იწვევს, რაც თავის მხრივ, საზოგადოების ფართო ფენების დისკრიმინაციის საშიშროებას ქმნის. ევროკავშირი განსხვავებული ერებისა და რელიგიების გამაერთიანებელ მრავალფეროვანი სივრცეა, რომელიც აცხადებს, რომ აღიარებს სხვადასხვა ხალხების კულტურასა და ტრადიციებს, საქართველოსთან მიმართებაშიც მზად არის, გაითვალისწინოს და პატივი სცეს ჩვენს ფასეულობებს. აღნიშნული კანონპროექტის მოთხოვნები ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც მმართველ გუნდში შეფასებები მოჰყვა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძეს პროექტის განხილვის შეჩერება მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

კანონმდებელის განცხადებით, პროექტის საკმარისად ხანგრძლივი განხილვა იყო და განხილვის პროცესს ყველას შეუძლია დაესწროს.

„განხილვის შეჩერება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. განხილვა იქნება და ყველას შეუძლია, მას დაესწროს და თავისი სათქმელი თქვას“, — აცხადებს ხმალაძე, რომელიც მოკლე კომენტარით შემოიფარგლა.

საკითხზე ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე უფრო ვრცლად საუბრობს და ამბობს, რომ მისთვის გასაგებია ის წუხილი, რასაც პატრიარქი გამოთქვამს.

„პატრიარქის მიმართ უაღრესად ღრმა პატივისცემას ვადასტურებთ, მაგრამ ამ კანონით, ადამიანებისთვის რაიმე ახალი უფლება არ მიენიჭება. აქ რაიმეს პროპაგანდასა და წახალისებაზე საუბარი არ შეიძლება იყოს. კანონის გათვალისწინებით, ამ ქვეყანაში ადამიანების ჩაგვრა და წამება იმის გამო არ უნდა ხდებოდეს, რომ ისინი არიან განსხვავებულები. დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ და თუ გვინდა, რომ ისეთი ქვეყნების რიგებში ჩავდგეთ, სადაც ადამიანებს მათი განსხვავებულობის გამო არ ჩაგრავენ, ეს ცვლილებები უნდა მივიღოთ“, — აცხადებს კობახიძე, რომლის მსგავსად, კანონპროექტზე ვრცლად, მაგრამ დიპლომატიურად საუბრობს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეკა ბესელიას თქმით, უმრავლესობა აპირებს, რომ ძალიან გულისხმიერად, ყურადღებით და სიღრმისეულად განიმარტოს — კანონპროექტის ყველა მუხლის ქვეშ თუ რა იგულისხმება.

„მთავარია, საზოგადოება იყოს ინფორმირებული თუ რა ტიპის კანონპროექტს ვღებულობთ. კარგი იქნება თუ განხილვებში საპატრიარქო ჩაერთვება. ადამიანი არც ერთი ნიშნით არ უნდა დავჩაგროთ და ეს არის საერთო განწყობის მატარებელი, დანარჩენი კი დეტალებს შეეხება და იმედი მაქვს, რომ პოზიციები შეჯერდება. კანონპროექტში არც ერთი ნორმა არ იქნება ეკლესიის საწინააღმდეგოდ გამოყენებული“, — დასძენს დეპუტატი.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტთან დაკავშირებით, საპატრიარქოს გარდა, პრეტენზიებს არასამთავრობო ორგანიზაციებიც გამოთქვამენ, რომლებიც კანონის ნორმების დარღვევის სანაცვლოდ ფულადი სანქციების დაწესებას ითხოვენ.

მმართველი გუნდი არასამთავროების რეკომენდაციების გაზიარებას არ აპირებს და იმაზე აპელირებს, რომ ცვლილებებით სისხლის სამართლებრივი სანქციები შემოდის.

საბოლოო ჯამში, თუ რა ფორმით იქნება მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი, ამის პროგნოზი რთულია, რადგან პირველი მოსმენით განხილვისას, პროექტიდან იმ სფეროების ჩამონათვალი იქნა ამოღებული, რომელზედაც კანონის ნორმები უნდა გავრცელდეს.

რაც შეეხება ცვლილებებს, მთავრობის მიერ მომზადებული ცვლილებები ერთი მხრივ, დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობებს განსაზღვრავს, მეორე მხრივ კი, დისკრიმინაციის შემთხვევაში სანქციებს აწესებს.

ᲐᲜᲢᲘᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲣᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲣᲠᲩᲘᲐ

კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით, დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრა და უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა რასის, კანის, ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

პროექტით, დისკრიმინაციად ჩაითვლება — ნებისმიერი სახის შევიწროვება, რომელიც მიზნად ისახავს, ან იწვევს პირის ან პირთა ჯგუფისთვის მტრული, დამაშინებელი, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან სხვა სახის შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას.

კანონპროექტით, აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ, დისკრიმინაციის განსახორციელებლად.

ინიციატივით, დისკრიმინაციის საკითხებზე ზედამხედველობას ომბუდსმენი განახორციელებს, რომელიც განიხილავს — იმ პირთა საჩივრებს, ვინც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. ამასთანავე, პროექტით, სახალხო დამცველი დისკრიმინაციის მსხვერპლს და შესაძლო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს მოიწვევს და ცდილობს, საქმე მხარეთა მორიგებით დაასრულოს.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტში სახალხო დამცველის უფლებამოსილების გაწერის პარალელურად, დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებები კონკრეტდება და ნათქვამია, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლებამოსილია, სარჩელი შეიტანოს სასამართლოში იმ დაწესებულების, პირის წინააღმდეგ, რომელმაც, მისი აზრით, დისკრიმინაცია განახორციელა.

მართალია, კანონპროექტი ფულად ჯარიმებს არ აწესებს, მაგრამ დისკრიმინაციის ფაქტებზე სისხლის სამათლებრივი სანქციები შემოდის.

კერძოდ, **კანონპროექტით, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის, ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაეთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.**

პროექტით, იგივე ქმედება თუ ჩადენილი იქნება სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანანმდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ამასთანავე, პროექტით, რასობრივი დისკრიმინაცია, ანდა ამავე ნიშნით ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭება — ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე. თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნა სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისასთვის საშიში ძალადობით — ეს ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანთა უფლებებიც.

პროექტით, ინვალიდობის მოტივით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმა, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. ამასთანავე, თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება არაერთგზის, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლებით შეზღუდვის ვადით ხუთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲛᲐᲜᲐᲒᲐᲫᲔ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ

ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტი იაშვილის კლინიკაში გარდაცვლილი ბავშვისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხს სწავლობს.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის უფროსმა ლადო კეპულაძემ განაცხადა, მისი დეპარტამენტი სწავლობს იაშვილის კლინიკაში გარდაცვლილი პაციენტის საქმეს ჰოსპიტალიზაციიდან გარდაცვალებამდე მონაკვეთში. მისივე თქმით, კლინიკაში მივლინებულია კომისია. როგორც კეპულაძემ განმარტა, დეპარტამენტმა საჩივრის შესწავლა 14 აპრილს, პაციენტის დედის განცხადების საფუძველზე დაიწყო. კერძოდ, პაციენტის დედა პრეტენზიას გამოთქვამდა, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება სამედიცინო პერსონალის არასწორმა ჩარევამ გამოიწვია. მისივე თქმით, პაციენტი იმ დროისთვის სტაციონარში მკურნალობდა. დეპარტამენტი, ფაქტობრივად საკითხის შესწავლას ასრულებდა, როდესაც ბავშვი გარდაიცვალა, ამიტომ კომისიამ მუშაობის ვადა გააგრძელა და იგი ადგილზე შემოწმებას ორშაბათს დაასრულებს, შემდეგ კი დოკუმენტაციას ექსპერტებს გადაუგზავნის.

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

◎ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘᲐ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘ?!.

ᲞᲐᲠᲙᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ „ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ“ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ სადგომების, ელემენტარულად ქუჩაში მანქანის გაჩერების პრობლემა, მსოფლიოს ყველა დიდი ქალაქის, მათ შორის, ცხადია, თბილისის პრობლემაცაა, რომლის გადაწყვეტას მეტნაკლები წარმატებით ადგილობრივი ხელისუფლება ყველგან ცდილობს. თბილისის მერიაც ეძებს გზებს, თუმცა არც ავტომანქანების მფლობელთათვის და არც ფეხით მოსიარულეთათვის ამას ბევრი არაფერი სიკეთე არ მოუტანია, პირიქით, ერთიანად ყველანი უკმაყოფილონი ვართ.

ერთი რომ, ავტომანქანების ახალი სადგომების შესაქმნელად თუნდაც იმ უბნებში, სადაც ამის გარკვეული შესაძლებლობა არსებობს, არავის და არასდროს არ უფიქრია – ასეთ შემთხვევაში გაცილებით სარფიანია იქ ნაკვეთის გაყიდვა, შემდეგ კი საცხოვრებელი კორპუსების აშენება, რის უამრავი მაგალითი არსებობს. მეორე მომენტი ისაა, რომ არამცთუ ახალი სადგომების შექმნა, არამედ თვით ტროტუარებიც ძალით წაგვგლიჯეს ისე, რომ ხალხს გავლა უჭირს, და მანქანების გასაჩერებელი ადგილებიც საგანგებოდ მონიშნეს. იმ ადგილებს კი დედაქალაქში ავტოტრანსპორტის გაჩერების ბიზნესის მონოპოლისტი კომპანიის „სითი პარკის“ დიდი ხნის წინათ „სტაიანშჩიკებად“ მონათლული მეთვალყურეები მიუჩინეს, რომლებიც წლის მანძილზე გაჩერების უფლებისთვის ოფიციალურად დაწესებული გადასახადის მიუხედავად, ყველა მძღოლს „ნაღდ ხურდა ფულს“ დარშიც და ავდარშიც განუხრელად ახდევინებენ. ესეც მესამე, და, ალბათ, შემოსავლის არცთუ უმნიშვნელო წყაროა სრულიად გაურკვეველი პირების დიდი ჯგუფისთვის.

მაგრამ „სითი პარკის“ შემოსავლის მთავარი წყარო მაინც ქუჩაში შეუსაბამო (ანუ საგანგებოდ მონიშნულ ზონას აცდენილად) ადგილზე ტრანსპორტის გაჩერებისთვის გამოწერილი ჯარიმების გადახდით მიღებული უზარმაზარი თანხებია. თავად განსაჯეთ, პატივცემულო მკითხველო: არასამთავრობო ორგანიზაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ირკვევა, რომ **კომპანიის კონტროლიორთა მიერ ბოლო ოთხი, 2009-2013 წლის მანძილზე გამოწერილი 1,2 მილიონზე მეტი ჯარიმით გადახდილმა თანხამ თბილისის მერიის ხაზინა 11,6 მილიონ ლარზე მეტით შეავსო!** ამასთან, ჯარიმის მინიმალური ოდენობა 10 ლარია, თუმცა ძალიან ბევრ შემთხვევაში, მაგალითად, მანქანის ევაკუირების დროს, იგი საგრძნობლად იზრდება და, ცოტა არ იყოს, დაკანონებულ რეკეტს წააგავს.

ეს რაც შეეხება ბოლო ოთხი წლის კვევა, რომ **კომპანიის კონტროლიორთა მიერ ბოლო ოთხი, 2009-2013 წლის მანძილზე გამოწერილი 1,2 მილიონზე მეტი ჯარიმით გადახდილმა თანხამ თბილისის მერიის ხაზინა 11,6 მილიონ ლარზე მეტით შეავსო!** ამასთან, ჯარიმის მინიმალური ოდენობა 10 ლარია, თუმცა ძალიან ბევრ შემთხვევაში, მაგალითად, მანქანის ევაკუირების დროს, იგი საგრძნობლად იზრდება და, ცოტა არ იყოს, დაკანონებულ რეკეტს წააგავს.

ეს რაც შეეხება ბოლო ოთხი წლის მაჩვენებლებს, თუმცა კი უფრო ადრინდელი მონაცემების მოპოვება, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, მერიაში გაგზავნილი ოფიციალური მიმართვის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს. ამდენად, თუ როგორია წინა (2007-08) წლების მანძილზე თბილისის მერიის პარკირების საფასურის დაჯარიმებით მიღებული თანხების საერთო დინამიკა, სადღისოდ უცნობია.

უნდა ითქვას, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სპეციალისტების **განსაკუთრებული ყურადღება 2010 წლის ივნისისა და დეკემბრის ანგარიშებმა მიიპყრეს, რადგან ეს იმ წლის მაისში ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს, საკრებულოსა და დედაქალაქის მერის არჩევნების პერიოდები იყო.** ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გამოქვეყნებულ ანგარიშში ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, აღნიშნულია, რომ **თბილისის მთავრობის სურვილის გათვალისწინებით, რომ პარკირების თემის აჟიტირება რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო, საკითხის დამატებითი კვლევები არ განხორციელებულა.** ამან კი, ასევე გადახდის სისტემების გაუქმებამ, როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, „უარყოფითი ზეგავლენა იქონია შემოსავლების გენერირებაზე“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტთა დასკვნით, **„წინასაარჩევნო პერიოდში, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში, თბილისის მერია „სითი პარკის“ საქმიანობის საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებდა. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ მსგავსი მანიპულირება ხორციელდებოდა არჩევნების წინ მოსახლეობის განწყობაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით“.**

აღნიშნული თემისადმი მიძღვნილ წინა პუბლიკაციებშიც (კერძოდ, 2013 წლის 19 ნოემბრის მასალაში „ჩვენ, „სითი პარკის“ მონები“) აღვნიშნავდით, რომ 2007 წელს თბილისის მერიასა და „სითი პარკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესახებ ზუსტი ცნობები არა თუ საზოგადოებას, დედაქალაქის საკრებულოს წევრებსაც არა აქვთ. ეს კი, ბუნებრივია, სავსებით საფუძვლიან ეჭვს აღძრავს, რომ კომპანიის მიღებული თანხები და გაწეული ხარჯი ერთმანეთის არაპროპორციულია, რაც უამრავ კითხვას წარმოშობს.

რამდენადაც ცნობილია, საკითხს ამჟამად თბილისის საოლქო სასამართლო განიხილავს. ამდენად, იმედია, რომ ნამდვილი სურათი ცოტა ხანში სრულად წარმოჩინდება.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲗᲔᲛᲐᲨᲘ

თბილისში ავტომანქანების პარკირების ორგანიზებისთვის თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში 2007 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების „შოჰარ პარკინგ სერვისისა“ და „ამაგონის“ კონსორციუმმა გაიმარჯვა. აუქციონის მოთხოვნის გათვალისწინებით ამ ორმა საზოგადოებამ შპს „სითი პარკი“ შექმნა, რომელსაც დედაქალაქში პარკირების ორგანიზების ექსკლუზიური უფლება 15-წლიანი ვადით გადაეცა.

◎ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

„ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲤᲐᲡᲘ“,

ᲐᲜᲣ ᲠᲐ ᲣᲯᲓᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ „ᲙᲐᲠᲒᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ?“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ბიუჯეტისგან ყველას ყველაფერი უნდა: პენსიონერებს – მეტი პენსია, მასწავლებლებს – მეტი ხელფასი, მრავალშვილიანებს – შვილების აღზრდის დაფინანსება, ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანს – უფასო ჯანდაცვა, უფასო განათლება, უფასო სახელმძღვანელოები, უფასო საბავშვო ბაღები. ამასთანავე, რა თქმა უნდა, ყველას უნდა მოწესრიგებული გზა კარამდე, დასუფთავებული ეზო, დაცვა კრიმინალისგან და ა.შ. საზოგადოება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ყოველთვის მიესალმება საბიუჯეტო დანახარჯების ზრდას და ყველაფერი უნდა იმ რაღაც დიდის და გაუგებარის ხარჯზე, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტი ჰქვია.

სწორედ ამიტომ, ეკონომისტებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საზოგადოებისთვის იმის ახსნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ნებისმიერი ხარჯი, რეალურად, ქვეყნის თითოეული მოქალაქის, უფრო მეტად კი თითოეული დასაქმებულის მიერ გაწეული ხარჯია.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 9 მილიარდ 80 მილიონი ლარით განისაზღვრა. ეს ნიშნავს, რომ ერთ დაქირავებულ დასაქმებულზე საბიუჯეტო ტვირთი წელიწადში 13 700 ლარს შეადგენს. ასე რომ, როგორც მინიმუმ, თითოეულ დასაქმებულს იმის გაანალიზება მართებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გაწეული თითოეული „უფასო“ მომსახურების ხარჯი მისი ტვირთიდან გადაიხდება და რაც უფრო გაიზრდება მოთხოვნილებები ბიუჯეტის მიმართ, მით უფრო გაიზრდება ეს ტვირთი მისთვის – ან გადასახადების ზრდის ხარჯზე, ან მოხმარებული პროდუქციის გაძვირების ხარჯზე. საერთოდ, ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელფასი არ გაქვს, ირიბი გადასახადების წყალობით, შენც ხვდები მათ რიგში, ვინც საბიუჯეტო ხარჯების ტვირთს იზიარებს. უსენში დათვლით, ქვეყნის ერთ მოსახლეზე 2014 წლის საბიუჯეტო ტვირთი, საშუალოდ, 2 025 ლარია. ანუ თქვენ გადასახადს იხდით მაშინ, როცა იხდით კომუნალური მომსახურების საფასურს, ყიდულობთ ლუდს თუ სიგარეტს, ალკოჰოლურ სასმელს თუ ასე შემდეგ. მაგალითად, ისეთი სახელისუფლებო გადაწყვეტილება, როგორიცაა ლუდისა თუ სიგარეტისთვის აქციზის გადასახადის გაზრდა, სინამდვილეში, თქვენი ტვირთის გაზრდაა და არამხოლოდ (და არაიმდენად) ბიზნესის.

საბიუჯეტო გადასახდელებიდან ყველაზე „ძვირი“ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაა – ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 415 ლარი. დაახლოებით, მაგდენივე უჯდება ერთ ადამიანს სოციალური დაცვის უზრუნველყოფა. ყველაზე „იაფი“ გარემოს დაცვა გვიჯდება, დაახლოებით – 68 ლარი წელიწადში.

ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ტვირთად ქვეყანას ბიუჯეტიდან საშინაო და საგარეო ვალების გასტუმრება აწევს – ეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს წელიწადში, დაახლოებით, 300 ლარი უჯდება, დასაქმებულისთვის კი თანხა 2 300 ლარს აღწევს;

წარმოდგენილი ინფორმაცია მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც „სახელმწიფოს ფასს“ შეადგენს. უფრო სრული ინფორმაციის ხილვა საიტზე www.priceofthestate.ge შეიძლება, რომელიც სწორედ ასეთი გათვლებისთვის შეიქმნა.

ᲜᲘᲜᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲛᲗᲘᲔᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მოქალაქემ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარ სამმართველოში 1970 წელს დაბადებულმა იური დ-მ ნებაყოფლობით წარმოადგინა და ჩააბარა 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 714 ცალი საბრძოლო ვაზნა, სხვადასხვა სახეობის 25 ცალი ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი.

სამინისტროს ინფორმაციით, სულ ჩააბარა: რამდენიმე ცალი „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2714 ცალი საბრძოლო ვაზნა, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის 12 მჭიდი, 1 ცალი 5,6 მმ კალიბრის კარაბინების და შაშხანების ლულების კომპენსატორი, იარაღის 1 ცალი სამიზნე, 1 ცალი 5,6 მმ კალიბრის იარაღის ლულის წინა ნაწილი, 13 ცალი სხვადასხვა ტიპის ხელყუმბარა, ცალი „პე-კა-გე-3“-ის ტიპის კუმულატიური ხელყუმბარა, 1 ცალი პორტატიული კავშირგაბმულობის მოწყობილობა, 1 ცალი „ერ-პე-გე-26“-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, 4 ცალი ქარხნული წესით დამზადებული „პე-გა-9“-ს და „ო-გა-9“-ს ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი და „უ-ზე-ერ-გე-ემ“-ის ტიპის 6 ფალია.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

რას ებრძვის „მომავლის იმედი?“

„ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას ჩვილი ბავშვებით ვაჭრობაში ადანაშაულებენ

საქართველოდან საზღვარგარეთ ჩვილი ბავშვების უკანონოდ გაყვანის ფაქტი ამ დრომდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. საია ჩვილი ბავშვების უკანონოდ გაყვანის თაობაზე შსს-ს და მთავარ პროკურატურას გამოძიების ეფექტურად წარმართვისკენ მოუწოდებს. ორგანიზაციის თავმჯდომარის კახა კოჟორიძის განცხადებით, საიას ასოციაცია „მომავლის იმედმა“ მიმართა, რომლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეხება სწორედ ჩვილი ბავშვების დაბადების მოწმობების გაყალბებას, მათი საზღვარგარეთ უკანონოდ გაყვანის მიზნით.

„მომავლის იმედის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, სავარაუდო დანაშაულის სქემა ასე მუშაობდა – ბავშვები ჩაისახებოდა დონორთა უჯრედების გამოყენებით. მიღებული ემბრიონები გადაინერგებოდა და გამოიზრდებოდა სუროგატი დედების საშვილოსნოში, ამის შემდეგ სუროგატ დედებს აიძულებდნენ, დაემალათ სუროგაციის ფაქტი, დარეგისტრირებულიყვნენ კანონიერ დედებად და მამად დაესახელებინათ ის უცხოელი, რომელსაც საქართველოდან უნდა გაეყვანა ბავშვი.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის თანახმად, სუროგატ დედას არა აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება, რადგან ის არ წარმოადგენს ბიოლოგიურ დედას. ბავშვის საზღვარგარეთ გასაყვანად საჭირო იყო დედის უფლებებით აღჭურვილი პირი, რის გამოც იმალებოდა სუროგაციის ფაქტი, იქმნებოდა ყალბი დაბადების მოწმობა, რომლის აღების შემდეგაც ბიოლოგიურ დედად მითითებულ პირს (სინამდვილეში სუროგატს) ნოტარიუსთან ათქმევინებდნენ დედობაზე უარს, რაც ბავშვის მამად მითითებულ უცხოელს შესაძლებლობას აძლევდა, დამოუკიდებლად გაეყვანა ბავშვი საქართველოდან.

კახა კოჟორიძის თქმით, შსს-ში დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლის სამართლის კოდექსის 344 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის, რაც გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანას ყალბი საბუთების გამოყენებით.

„მომავლის იმედმა“ შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს არაერთ ამგვარ შემთხვევაზე მიაწოდა ინფორმაცია, თუმცა, აღნიშნულ ფაქტებზე სათანადო გამოძიება არ წარმართულა. თავდაპირველად გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის I ნაწილით მიმდინარეობდა, რაც მხოლოდ დოკუმენტების გაყალბებას გულისხმობდა. პროკურატურის 2013 წლის 17 მაისის წერილით ირკვევა, რომ შპს ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტოს „ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ ცალკეული მუშაკების მხრიდან ადგილი ჰქონდა დოკუმენტების გაყალბებას. თუმცა, 2013 წლის 7 მაისს გამოტანილი იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ, რადგან ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული ქმედება ამნისტირებული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ, რადგან მოცემული საქმე ეხება ბავშთა უფლებებს, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან ზიანს, მათ შორის, შესაძლო გაყიდვის ფაქტს. მნიშვნელოვანია, რომ ზიანის არსებობის შემთხვევაში სსს-ს კოდექსის 362-ე მე-2 ნაწილი ითვალიწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 6 წლამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს არის მძიმე კატეგორიის დანაშაული, რაზეც ამნისტიის შესახებ კანონი ავტომატურად არ ვრცელდება.

გარდა ამისა, ცხადია, რომ გამოძიება უნდა დაინტერესებულიყო, თუ რა მიზნით ხდებოდა დოკუმენტების გაყალბება და თავიდანვე დააკვალიფიცირებინა ჩადენილი ქმედება. როგორც უკვე აღინიშნა, გამოძიება სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მიმართულებით დაიწყო მხოლოდ დაახლოებით 2 თვის წინათ“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას კახა კოჟორიძე.

არაერთი მტიცებულების მიუხედავად, საგამოძიებო ორგანოები ამ დრომდე მხოლოდ საქმის აღძვრით შემოიფარგლნენ და კონკრეტული პირების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა ამ დრომდე დაწყებული არ არის. კახა კოჟორიძის განცხადებით, შესაძლოა, იკვეთებოდეს დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რაც დამატებითი დამამძიმებელი გარემოებაა.

თავად „მომავლის იმედის“ ხელმძღვანელი თამარ ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ ამ ყველაფრიდან ფულს „ნიუ ლაიფ ჯორჯია“ და მისი ხელმძღვანელი იღებს.

„ჩვენ გამოვიკვლიეთ და გვაქვს კონკრეტული მტკიცებულებები სამ სუროგატზე, ესენი არიან მაღალაშვილი, ღონღაძე, ჯავაშვილი. ეს ქალბატონები რეგისტრირებულები არიან „ნიუ ლაიფ ჯორჯიაში“ როგორც სუროგატები, ხოლო შემდეგ სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირდებოდნენ როგორც კანონიერი და ბიოლოგიური დედები. საქართველოს კანონმდებლობა უკრძალავს სუროგატს ბიოლოგიურ დედად დარეგისტირებას. თანხებს იღებდა ამ ყველაფერში „ნიუ ლაიფ ჯორჯია“ და სუროგატებსაც მისი თანამშრომლები აიძულებდნენ, რომ დედად დარეგისტირებულიყვნენ.

ამას თავად სუროგატები ყვებიან. მათ მეუღლეებთან გაშორებაც კი გააკეთებინეს, რათა საკონსულოები შეცდომაში შეეყვანათ, რომ იმ უცხოელთან, ვისაც ბავშვი უნდა გაეყვანა, ვითომ რაიმე აკავშირებდათ. ეუბნებოდნენ სუროგატებს, რომ თუ არ გააკეთებდნენ ამას, ბავშვს მას დაუტოვებდნენ, თანხას არ გადაუხდიდნენ, გაუვრცელებდნენ ინფორმაციას, რომ სუროგატები იყვნენ და ამ სახით ხდებოდა ზეწოლა მათზე. ამ უკანონო გარიგებებში თავად „ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ ხელმძღვანელიც არის გარეული“, – განაცხადა თამარ ხაჭაპურიძემ.

მისივე თქმით, 2010-11 წლებში დაახლეობთ 20-მდე, სამ თვემდე ასაკის ბავშვია გაყვანილი დედის გარეშე მამაკაცის მიერ.

„ბუნებრივია, არსებობს ეჭვი, რომ ეს ბავშვები უკანონოდ არიან ქვეყნიდან გაყვანილნი. ამაზე შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკურმა სამსახურმა მოიძია ინფორმაცია და აღმოაჩინა, რომ ოცამდე ბავშვი ნამდვილად გაყვანილია. საქმე ფაქტობრივად გამოძიებულია, თუმცა, ჩემთვის გაურკვეველია, რატომ არ აპატიმრებენ ამ დრომდე დამნაშავეებს. ის, რომ ბავშვები გაყალბებული დოკუმენტებით გაიყვანეს, უკვე დადასტურებულია. გამოსაძიებელი აღარაფერია“, – გვითხრა თამარ ხაჭაპურიძემ.

თამარ ხაჭაპურიძის ბრალდებას არ ადასტურებენ „ნიუ ლაიფ ჯორჯიაში“. სააგენტოს ხელმძღვანელი ამბობს, რომ ხაჭაპურიძის ბრალდება არასერიოზულია.

„სულ ჩივის ეს ქალი, ათჯერ შეიტანა უკვე საჩივარი. პროკურატურასთან აქციებსაც მართავდა თავის მეუღლესთან ერთად. არის სერიოზული გიჟი. მსგავსი ბრალდება ადრეც წამიყენა და მერე გაირკვა, რომ იმ გოგოს ფული გადაუხადა. სრულიად აბსურდული ბრალდებებია. მარტოხელა კაცები ჩვენ რატომ უნდა ჩამოგვეყვანა საქართველოში, როდესაც ინდოეთში და ტაილანდში გვაქვს კლინიკები და იქ მარტოხელა კაცებისთვის შვილის გაჩენას კანონი არ კრძალავს.

ნ წელია, იმ ქვეყნებში კლინიკები გვაქვს. მარტოხელა კაცები და ქალები არ გვაკლია. მოსყიდული სუროგატების სახელები და გვარები კი არ დაასახელოს, არამედ გვითხრას ერთი მარტოხელა მამაკაცის სახელი და მერე ვილაპარაკოთ“, – ასე პასუხობს ბრალდებას მარიამ კუკუნაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს სააგენტო „ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ წინააღმდეგ. თუმცა, კონკრეტულად ჩვილ ბავშვთა გაყვანის რამდენი შემთხვევაა დაფიქსირებული და ძირითადად, რომელ ქვეყნებში გაჰყავთ ახალშობილები, ამის შესახებ პროკურატურაში ინფორმაცია არა აქვთ.

თამთა ქარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

„მზიურის“ დასუფთავება ნარმანიას მერიამ დაასწრო

კოალიცია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ დავით ნარმანიას, რომელიც გუშინ „მზიურის“ დასუფთავების აქციაში მონაწილეობას გეგმავდა, პარკი დასუფთავებული დახვდა. როგორც ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ის ახალგაზრდებთან ერთად გეგმავდა „მზიურის“ დასუფთავებას, რადგან პარკი დანაგვიანებული იყო.

„ამ ტერიტორიაზე დღეების განმავლობაში ნაგავი იყო. ჩვენ ახალგაზრდებთან ერთად დავგეგმეთ დასუფთავება, თუმცა, როგორც კი შესაბამისი ანონსი გავრცელდა, მერიის დასუფთავების სამსახურმა, როგორც ჩანს, დასუფთავა და მოაწესრიგა ტერიტორია. ეს, ერთი მხრივ, კარგია, ჩვენ ძალიან ბევრ ადგილს დავაანონსებთ, რომელიც დასასუფთავებელია და ვნახოთ, რას გააკეთებენ. მეორე მხრივ, ცუდია ის, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ეფუძნება და, ჩვენდა სამწუხაროდ, დასუფთავების სამსახური მიდის საკუთარი მოქალაქეების საბოტაჟის გზით და არ ასუფთავებს ქალაქს. როდესაც ჩვენ მოვალთ ქალაქის მმართველობაში, ერთად დავასუფთავებთ და მოვაწესრიგებთ ქალაქს. ის ადამიანები, რომლებიც დასუფთავების სამსახურში მუშაობენ და ყოველდღიურად ასუფთავებენ ქალაქს, მიიღებენ სწორ დავალებებს ჩვენგან, არ იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ხოლო ისინი, ვინც ცუდ მენეჯმენტს ახორციელებენ და პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველზე სადღაც ალაგებენ ქალაქს, სადღაც – არა, ასეთ ადამიანები დატოვებენ მერიაში თანამდებობებს, – განაცხადა ნარმანიამ.

თბილისის გარშემო ტყეების შენახვლა იწყება

თბილისის გარშემო ტყეების მავნებლებისგან დასაცავად ავიაციით ქიმიური დამუშავება 5-15 მაისს განხორციელდება. ამის შესახებ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში განაცხადეს. მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა ბიძინა გიორგობიანმა ავიაციის მეშვეობით მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ ბრიფინგი გამართეს.

ხათუნა გოგალაძის განცხადებით, თბილისის ირგვლივ არსებულ ტყით დაფარულ ფართობზე, მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები ავიაციის დახმარებით, გატარდება. მისივე თქმით, შეწამვლა დილით, მზის ამოსვლამდე, ასევე საღამოს საათებში მოხდება და პროცესი სპეციალისტების ზედამხედველობით წარიმართება.

ეროვნული სატყეო სააგენტო სახელმწიფო ტყის ფონდში არსებულ ფართობებს თბილისის შემოგარენში, მცხეთა-მთიანეთსა (მცხეთა-დიდგორის სატყეო უბანი) და ქვემო ქართლში (წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბანი) დაამუშავებს.

– სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დარგის სხვა ექსპერტებისაგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე დაზუსტდა მავნებლებთან ბრძოლის მეთოდი და გამოსაყენებელი პრეპარატი. პრეპარატი განსაკუთრებული სიფრთხილით შეირჩა, რადგან შეწამვლა ხდება დასახლებულ პუნქტებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან ახლოს. შერჩეული პრეპარატი - ტყის სახეობებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ხეხილი, ვაზი, ბოსტნეული, დეკორატიული მცენარეები და სხვ) დასამუშავებლადაც გამოიყენება და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკაციით საშიშროების ყველაზე დაბალ კლასს მიეკუთვნება, – აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, პრეპარატი მითითებული ნორმით და წესით გამოყენების შემთხვევაში არ არის ტოქსიკური ადამიანების, თბილისისლიანი ცხოველებისა და ფრინველებისათვის, თევზების, ფუტკრებისა და სასარგებლო მწერებისათვის (შეწამვლის პროცესში რეკომენდებულია ფუტკრის ფრენის შეზღუდვა).

„მომავლის ბანაკი“ ანაკლიაში

საქართველოს მთავრობა ახალგაზრდული ბანაკის პროგრამას განახორციელებს, რომლის სახელწოდება იქნება „მომავლის ბანაკი“. ამის შესახებ ნათქვამია მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განკარგულებაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს ხელს. როგორც განკარგულებაშია აღნიშნული, ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრების, ფიზიკურად ძლიერი და სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდის მიზნით, მიღებულია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წინადადება. აღნიშნული წინადადება 2014 წლის ივნის-სექტემბერში ანაკლიის ტერიტორიაზე პროგრამა „მომავლის ბანაკის“ განხორციელებას ითვალისწინებს.

„პროგრამა „მომავლის ბანაკის“ სათანადო დონეზე ჩატარების მიზნით, ანაკლიის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა და ახალგაზრდულ ბანაკში შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინიტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

მოზარდთა აღზრდის პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი მითითებები მიეცათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

კანდიდატურების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრს 20 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდში. ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა კი უნდა უზრუნველყოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებიდან 1728 ბენეფიციარის შერჩევა (თითოეულ 6 ნაკადზე – 288 პირი).

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მაისში ქართველი მეომრები შეუერთდებიან ევროკავშირის სამშვიდობო მისიას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივ პრესკონფერენციაზე თბილისში.

„ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ქართველი სამხედრო მოსამსახურეები შეუერთდებიან საფრანგეთის ქვედანაყოფს და დაეხმარებიან უშიშროების უზრუნველყოფასა და სამშვიდობო გარემოს შექმნაში“, — განაცხადა ფანჯიკიძემ 24 აპრილს.

შეგახსენებთ, რომ, გაეროს მონაცემებით, კონფლიქტის დროს მოწინააღმდეგე მხარეთა შორის ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ქვეყნის ერთ მილიონამდე მცხოვრები იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სახლები. არაოფიციალური მონაცემებით კი, დაპირისპირების დროს დაიღუპა ათასზე მეტი კაცი.

ლური აფრიკის რესპუბლიკაში სწორედ ამ შეთანხმების ფარგლებში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ, როგორც ავღანეთშიც, საქართველოს წვლილი არის „მნიშვნელოვანი“, ვინაიდან ევროკავშირის ხუთასი მშვიდობისმყოფლიდან, რომლებიც გაიგზავნებიან მაისში ბანგაში, 100 ქართველი სამხედრო მოსამსახურე იქნება.

„საქართველოში ოკუპაციის ხაზის გასწვრივ მომუშავე ერთადერთი საერთაშორისო სამეთვალყურეო მისია — ესაა ევროკავშირის მისია, რომელიც წლების განმავლობაში ძალიან ბევრ რამეს აკეთებდა ჩვენი მოქალაქეების უშიშროების უზრუნველყოფისთვის. შესაბამისად, საქართველოს მონაწილეობა ევროკავშირის სამხედრო მისიაში ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არა მხოლოდ უშიშროების მიმღებები ვართ, არამედ ვხდებით მისი ექსპორტიორებიც ევროკავშირისთვის“, — აღნიშნა თეონა აქუბარდიამ.

ქართველი მეომრები ევროკავშირის სამხედრო მისიაში მიიღებენ მონაწილეობას

10 თებერვალს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ დედაქალაქში უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ქვეყნის მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევისთვის.

როგორც ადრე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, ევროკავშირმა მიმართა საქართველოს თხოვნით, ჩაერთოს მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში. საქართველოს პარლამენტმა 21 თებერვალს მხარი დაუჭირა საქართველოს შეიარაღებული ძალების ასეულის გაგზავნას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

მისია მოიცავს ექვს თვეს და იწყება მაისში. ქართველი მშვიდობისმყოფელები უკვე მონაწილეობენ საერთაშორისო ოპერაციაში ავღანეთში მშვიდობის დამყარების მხარდასაჭერად, მაგრამ ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველო მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირის სამხედრო მისიაში.

„უსაფრთხოების ექსპორტიორები“

„ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ კომენტარებში უშიშროების საკითხების ექსპერტმა თეონა აქუბარდიამ შეგვახსენა, რომ ამჟამად ავღანეთში სამსახურს დაახლოებით 1560 ქართველი მშვიდობისმყოფელი გადის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველო — არის საერთაშორისო კოალიციის ყველაზე დიდი მონაწილე იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ნატოს წევრები არ არიან.

ამრიგად, ასკვნის ექსპერტი, საქართველოს მონაწილეობა ევროკავშირის სამხედრო მისიაში ევროკავშირის ინიციატივით „კიდევ ერთხელ ადასტურებს“ საქართველოს სამხედრო ძალების მაღალ კვალიფიკაციას, აგრეთვე საქართველოს მზადყოფნას, შეიტანოს თავისი წვლილი საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფაში, როგორც „ღირსეულმა პარტნიორმა“.

აქუბარდიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამით საქართველო დგამს კიდევ ერთ ნაბიჯს ევროკავშირთან დაახლოებისთვის და შეგვახსენა, რომ შარშან ნოემბერში ევროკავშირის ვილნიუსის სამიტზე გაფორმდა ჩარჩო-ხელშეკრულება საქართველოს მონაწილეობის შესახებ ევროკავშირის ოპერაციებში კრიზისების მოწესრიგების საქმეში; ქართველი სამხედროები ერთვებიან ევროკავშირის მისიაში ცენტრა-

„სერიოზული კონტრიბუტორი“

„ამერიკის ხმის“ რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში თბილისის გეოპოლიტიკურ კვლევათა ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ ფხალაძემ თქვა, რომ ევროკავშირის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ნახევარი წლის განმავლობაში, საქართველომ ევროკავშირისგან მიიღო რამდენიმე მიწვევა სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის შესახებ.

მათ შორის — ოპერაციებში მალისში და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ექსპერტის სიტყვებით, ეს ერთმნიშვნელოვნად ხაზგასმით მიუთითებს, რომ ევროკავშირი აფასებს საქართველოს, როგორც „საიმედო პარტნიორს“, რომელსაც შეიძლება ანდო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა, აგრეთვე, განიხილავს საქართველოს, როგორც „სერიოზულ კონტრიბუტორს“ საერთო ევროპული უშიშროების სისტემაში.

„საქართველოს მონაწილეობა ევროკავშირის სამხედრო მისიებში, მე კი არ გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ ქართველი სამხედროები შეუერთდებიან ევროკავშირის მიერ ჩატარებულ სხვა ოპერაციებსაც, ბუნებრივია, დაეხმარება ჩვენს ინტეგრაციას ევროპულ სტრუქტურებში“, — დარწმუნებულია პოლიტოლოგი.

„არა ვინმეს წინააღმდეგ“

შეგახსენებთ, რომ უკრაინაში მოვლენების შემდეგ ევროკავშირმა განაცხადა იმის შესახებ, რომ დააჩქარებს მოლდოვისა და საქართველოსთვის ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას. კერძოდ, აგვისტოს ნაცვლად შეთანხმებას ხელი მოეწერება ივნისში. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მიესალმა ევროკავშირის ამ გადაწყვეტილებას, აგრეთვე ევროკავშირის განცხადებას იმის შესახებ, რომ აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნებს სამომავლოდ „აქვთ ევროპული პერსპექტივა“.

„რამდენიმე დღით წინათ ევროკავშირმა პირველად მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას აქვთ ევროპული პერსპექტივა. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის კონსტიტუციის 49-ე მუხლი მიესადაგება საქართველოსაც; ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის კარი ჩვენთვის არის არა დახურული, არამედ გახსნილი“, — უთხრა უსუფაშვილმა ჟურნალისტებს 24 აპრილს.

თავის მხრივ, საქართველოში ვიზიტით მყოფმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა, რომ შეთანხმების ხელმოწერა ასოციაციის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გავლენას არ მოახდენს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე.

„შეთანხმება ასოციაციის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერება მიმდინარე წლის ივნისში, არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც უკვე არის საქართველოსა და ევროკავშირს შორის და რომლებიც ღრმავდება, არავითარ შემთხვევაში არ დააყენებს ეჭვქვეშ იმ ურთიერთობებს, რომლებიც არსებობენ საქართველოსა და რუსეთს შორის. ვფიქრობ, ეს კარგად ესმით რუსეთშიც“, — ხაზგასმით აღნიშნა შტაინმაიერმა 24 აპრილს პრესკონფერენციაზე.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ექსპერტები აშშ-ის ახალ სანქციებზე რუსეთის წინააღმდეგ - რისკები არ დაუმატებიათ, ისინი ობამას მცდელობაა, შეინარჩუნოს სახე

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ სანქციები გაფართოვდა მოსალოდნელი მიმართულებით. მეთვალყურეთა აზრით, რუსეთზე ზემოქმედება შავი სიის დახმარებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისთვის ბარაკ ობამასათვის გახდა როგორც იმის აუცილებლობა, რომ აჩვენოს კრიტიკოსებს ქვეყნის შიგნით თავისი მკაცრი დამოკიდებულება მოსკოვთან დაკავშირებით, აგრეთვე იმის შესაძლებლობაც, რომ შეახსენოს მოკავშირეებს ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობის შესახებ.

იანუკოვიჩმა და მისმა ხალხმა რუსეთის ფედერაციაში გაიტანეს 32 მილიარდი დოლარი, რასაც ხარჯავენ სეპარატისტებზე, განაცხადა უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ

ამავე დროს, რუსეთი, ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც უარს აცხადებს, დაეხმაროს უკრაინას ქვეყნიდან გატანილი ფულის ძებნაში, განაცხადა ქვეყნის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ოლეგ მახნიცკიმ. მისი აზრით, ეს ფული ამჟამად იხარჯება უკრაინის აღმოსავლეთში სეპარატისტული მოძრაობის დაფინანსებაზე.

კანადამ სანქციები შემოიღო ჟირინოვსკისთან დაკავშირებით, იაპონიამ კი შავ სიაში 23 რუსეთელი შეიყვანა

ტოკიოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას ვიზიტის შემდეგ, როდესაც მან დააყენა წინადადება შექმნილიყო ანტიჩინური კოალიცია, იაპონიამ შემოიღო სანქციები 23 დაუსახელებელი რუსეთელისთვის. ამავე დროს, ახალი სანქციები შემოიღო კანადამაც. კანადური თვითმფრინავები ასევე გაიგზავნება რუმინეთში, რათა აჩვენონ მხარდაჭერა უკრაინელი ხალხისთვის.

პირველად 2014 წელს ავსტრალიის მცხოვრებლები თვალყურს ადევნებდნენ მზის დაბნელებას

იშვიათი კოსმოსური მოვლენა — მზეები არაცენტრალური რგოლისებრი დაბნელება — ხდება დაახლოებით თხუთმეტჯერ ათას წელიწადში. ეს დღეს შეიძლებოდა გეხილა მთელი მისი სილამაზით ავსტრალიაში დედამიწის პატარა მონაკვეთიდან. ნაწილობრივ დაბნელებისთვის შეიძლებოდა თვალყური ედევნებინათ პლანეტის სხვა რაიონებშიც.

როცა მიზანი ამართლებს საბიუჯეტო ხარჯებს

უკანონო პოლიტიკით ამღვრეულ წყალს დარგეული საგამომცემლო ბიზნესი მიაძვს და ვიდრე გაჭიანურებული სასამართლო პროცესი თავის შედეგებს დადებს, გარშემომყოფი საზოგადოება კი გააცნობიერებს, რომ ეს ის გზა არ არის, საითაც საერთოდ ძვეყანა უნდა მიდიოდეს, გამომცემლოგები ბრძოლას ვაგრძელებთ და რამდენიმე საკითხზე ვამახვილებთ საზოგადოების ყურადღებას:

● *განათლების სამინისტროს ბიუჯეტში ახალი სასწავლო წლისათვის გამოიყო* ***ცხრა მილიონი*** *ლარი სახელმძღვანელოების დასაბეჭდად, თუმცა, საკამათოა, რამდენად რაციონალურად დაიხარჯება ეს თანხა. შარშანაც დაახლოებით იგივე თანხას ასახელებდნენ, მაგრამ ორიოდე კვირის წინათ ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამ მიზნით დაიხარჯა თექვსმეტ მილიონ ლარზე მეტი (?!). სამინისტრომ, სრულიად უკანონოდ მიითვისა რა ავტორთა და გამომცემელთა ინტელექტუალური საკუთრება, სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგა სახელმწიფო საჯარო სკოლების ყველა მოსწავლეს, განურჩევლად სოციალური თუ მატერიალური მდგომარეობისა.* ***ყველა მოსწავლის დასაჩუქრება სხვა არაფერია, თუ არა საბიუჯეტო თანხების უყაირათო ხარჯვა.*** *თუმცა, ხელისუფლების მთავარი ამოცანა არც წიგნების თანასწორი განაწილება იყო და არც გაჭირვებულ ხალხზე ზრუნვა, მისი მიზანი უფრო მასშტაბური გახლდათ — საარჩევნო ხმების მოპოვება. ამის მისაღწევად, სამინისტროს ახალი ინიციატივა წარმატებული საარჩევნო კამპანია იქნებოდა და ბიუჯეტის არარაციონალურ ხარჯვას რაციონალური შედეგი — არჩევნებში გამარჯვება გაამართლებდა. ასე რომ,* ***ხელისუფლებისთვის მიზანი ამართლებდა საშუალებას და ამ შემთხვევაში — ხარჯებსაც.***

არადა, სახელმძღვანელოები სოციალურად გაჭირვებულ ოჯახთა შვილებისათვის რომ დაერიგებინათ და არასაჭირო ხარჯები დაეზოგათ, გამოთავისუფლებული თანხებითა და წიგნების რეალიზაციით მიღებული საშემოსავლო მოგებით არაერთი კარგი და საჭირო საქმის გაკეთება შეიძლებოდა. რაც წაადგებოდა თაობას, რომელმაც დემოკრატიის გზაზე შემდგარი ქვეყანა უნდა გადაიბაროს.

● *საერთაშორისო სამართლით, დისკრიმინაცია განისაზღვრება როგორც ადამიანის უფლებათა შეზღუდვა რაიმე ნიშნით, ან თანასწორ პირობებში უთანასწორი მოპყრობა, თუმცა, მატერიალურად უზრუნველყოფილ და სოციალურად დაუცველ ოჯახთა შვილების თანასწორ პირობებში ჩაყენებაც გაუმართლებელია —* ***ანუ თანასწორ პირობებში უთანასწორო მოპყრობასთან ერთად, უთანასწოროთა გათანასწორებაც დისკრიმინაციაა.***

თუმცა, ხელისუფლებას ამაზე არ უფიქრია, რადგან მისი რეალური მიზანი საზოგადოების დახმარება არ იყო და, შესაბამისად, არც ამ ნაბიჯის გონივრულ განხორციელებაზე უზრუნია და არც იმაზე, რომ ამით სახელმწიფომ ზურგზე აიკიდა ის ყველაფერი, რასაც ადრე კერძო გამომცემლობები აკეთებდნენ, თანაც კონკურენტულ პირობებში და თანაც ხარისხიანად. არ იხარჯებოდა არც ერთი თეთრი ბიუჯეტიდან.

გარდა ამისა, სამინისტრომ შექმნა საგანგებო ჯგუფი, რომელსაც სოლიდურ ხელფასებს უხდის ბიუჯეტიდან. არადა, ეს ის თანხებია, რომლებსაც მე, თქვენ და დანარჩენი საზოგადოება საკუთარი ხელფასებიდან ვუხდით სახელმწიფოს.

● *დღეს სოლიდური ტირაჟების ბეჭდვის საშუალება მხოლოდ იმ სტამბებს აქვთ, რომლებიც განათლების სამინისტრომ შარშან ყოველგვარი ტენდერის გარეშე შეარჩია. სხვა სტამბებს, რომლებიც უკანონობის შედეგად ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდნენ, ამის სახსრები არ აქვთ. შემოსავლების მნიშვნელოვნად შემცირების გამო ბანკები მათ სესხებს არ აძლევენ.*

ჩანს, **სახელმწიფო ხელოვნურად ქმნის მონოპოლიას, რაც, გარდა იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება, სხვა გამომცემლობების უფლებათა დარღვევაცაა**.

● *განათლების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელოთა უფასოდ დარიგების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო ის, რომ მომდევნო წელს ამ წიგნებს სხვა მოსწავლეებს გადასცემდნენ — მას შემდეგ, რაც ნახმარი სახელმძღვანელო შეფასების შკალით თხუთმეტი ქულიდან ცხრა ქულას მიიღებდა. დაზიანებული სახელმძღვანელოს შემთხვევაში მშობელს წიგნის საფასურის ანაზღაურება ეკისრებოდა,* ***ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამინისტრო ნაჩუქარ წიგნს მაინც ყიდის.*** *წიგნის დაშლისა და შელახვის ალბათობა კი დიდი იყო, რადგან სათუოა სამინისტროს მიერ დაბეჭდილი სახელმძღვანელოების ხარისხი — ჯერ ერთი, ოთხმა სტამბამ ამხელა დაკვეთა ჯეროვნად ვერ შეასრულა და მეორეც, სამინისტრომ შეცვალა აქამდე დადგენილი სტანდარტი და სახელმძღვანელოები შარშან 70-იანის ნაცვლად 51-გრამიან ქაღალდზე დაიბეჭდა.*

ახალ სასწავლო წელს საგანმანათლებლო სკოლების წიგნებით უზრუნველსაყოფად, განათლების სამინისტრომ, სახმარად უვარგის სახელმძღვანელოთა გარდა, უნდა დაითვალოს სხვადასხვა კლასში მოსწავლეთა რაოდენობაც, რომელიც ყოველწლიურად იცვლება, განსაზღვროს ახალი ტირაჟი და დაბეჭდვაზეც იზრუნოს. **და ეს მაშინ, როცა გამომცემლობათა საწყობებში მილიონზე მეტი მაღალხარისხოვანი მოქმედი სახელმძღვანელოების ნაშთი დევს (420000 ეგზემპლარი მარტო „ინტელექტს“ აქვს).**

ეს სხვა არაფერია, თუ არა მიზანმიმართული კამპანია გამომცემლობათა ბოლომდე ჩასაძირად.

● *განათლების სამინისტრომ 2013-14 სასწავლო წელს სახელმძღვანელოები* ***მხოლოდ*** *სახელმწიფო საჯარო სკოლების მოსწავლეებს დაურიგა, კერძო სკოლათა კონტინგენტი კი, რომელიც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 7%-ია, რატომღაც გამომცემლობებს უწყალობეს.*

იურისტების განმარტებით, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ბიზნესის მთლიანად წაღება წართმევად ითვლება, მაგრამ, თუ რაღაც ნაწილს გამომცემლობებს დაუტოვებდნენ, ხელისუფლების ქმედება შეფასდებოდა, როგორც „ბიზნესის შეზღუდვა“, **თუმცა რამდენად არის შეზღუდვა 93 %-ის მითვისება, ამაზე საზოგადოებამ იმსჯელოს.**

● *რა უნდათ გამომცემლობებს, კერძო სკოლები ხომ დავუტოვეთ, მხატვრული ლიტერატურის ბეჭდვაც შეუძლიათ, ბოლოს და ბოლოს, წინა წლებში ნაშოვნი მილიონები სად წაიღესო? — ასეთი შეკითხვაც გაისმა სამინისტროდან.*

სახელმწიფომ ჯერ გამომცემლობებს თითქმის ოცწლიანი საგანმანათლებლო რეფორმის ურთულესი სამუშაოები შეასრულებინა, შემდეგ კი ისინი უყველაფროდ დატოვა. დღეს მათი დიდი ნაწილი გაკოტრების პირასაა (ამ ზღვარზეა სტამბებისა და წიგნის მაღაზიათა უმრავლესობაც).

მეტიც, **ბიზნესის წართმევის პარალელურად, სამინისტრო პოპულისტური ლოზუნგებით გამომცემლობათა და ავტორთა დისკრედიტირებასაც ცდილობს — სურს ისინი ხალხის ხარჯზე გამდიდრებულ „მილიონერებად“ წარმოაჩინონ და ამ კამპანიის თაოსნებმა დაუბრკოლებლად მიაღწიონ უკანონო მიზანს**.

გასაოცარია: შარშან განათლების სამინისტროს წინასაარჩევნო ალიაქოთში საერთოდ დაავიწყდა მისი უდიდებულესობა — მასწავლებელი! ვერც ერთი პედაგოგისათვის ვერ გაიმეტეს მასწავლებლის წიგნიც კი. ჩვენი კეთილი და უპრეტენზიო მასწავლებლები მორიდებით გვირეკავდნენ ძველ და ერთგულ პარტნიორებს — გამომცემლებს.

გამომცემლოგათა სარჩელის საფუძველზე დაწყებული პროცესები ჭიანურდება, რათა ხელისუფლებამ წლეულსაც მოასწროს თავისი უსამართლო გეგმების განხორციელება, რადგან წინ კიდევ ერთი არჩევნებია.

ამასთანავე, **ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკით, სასამართლო საქმეებს მხოლოდ მაშინ იძიებენ სწრაფად, როცა ეს ან პოლიტიკურად მომგებიანია, ან ფინანსურად.** ამასობაში განათლების სამინისტრო ცდილობს, გამომცემლობათა და ავტორთა ერთიანობა „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით დაშალოს. თუკი აქამდე ავტორთა უფლებებს სახელმწიფოს წინაშე გამომცემლობანი იცავდნენ, ახლა მათ სხვა სტრუქტურა ჩაანაცვლებს — გამგეობა, რომელიც ავტორებს გააერთიანებს და რომლის შექმნაც ინსპირირებულია განათლების სამინისტროს მიერ.

ცხადია, სამინისტრო ავტორს ისეთ ჰონორარს ვერ შეჰპირდება, როგორსაც გამომცემლობა უხდიდა, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო, ასევე იმის შიშით, რომ მისი სახელმძღვანელო საერთოდაც არ ამოიღონ პროგრამიდან, ავტორი იძულებული იქნება, შემოთავაზებულ პირობებს დათანხმდეს. **შედეგად კი განათლების სამინისტრო კიდევ ერთ „წარმატებულ ნაბიჯს“ გადადგამს იმისათვის, რომ გამომცემლობათა და ავტორთა ერთობლივი და მრავალწლიანი შრომის ნაყოფის სამართალმემკვიდრე გახდეს (?!).**

● *შარშან დაწყებულმა საარჩევნო კამპანიამ ქვეშ გამომცემლობები მოიყოლა, განათლების სამინისტროს მესვეურები კი აცხადებდნენ, რომ მთელი საქართველოს გულის მოგება ულირდათ 18 ქართველი გამომცემლის განაწყენებად (განაწყენება ვერ აკადრეს „მაკმილანსა“ და სხვა უცხოელ გამომცემლებს), ავიწყდებოდათ და დღესაც არ ახსოვთ, რომ ამ 18 გამომცემლის უკან 400-მდე ავტორი და ასობით თანამშრომელი დგას თავიანთი ოჯახებით.*

თუმცა, **სახელმწიფო ხომ სწორედ მაშინ არის დემოკრატიული, როცა ქვეყანაში ერთი კაცის უფლებაც დაცულია — თუნდაც თემიდას სასწორის მეორე პინაზე მრავალთა ინტერესები იდოს — რადგან, თუ საზოგადოება უკანონობას იმ ერთის მიმართ შეეგუება, ეს აუცილებლად სხვასაც შეეხება და ამ მორევში, დღეს რომ საგამომცემლო ბიზნესს ძირავს, ხვალ შეიძლება ნებისმიერი თქვენგანი აღმოჩნდეს.**

კახმეგ კუდავა,
გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ოცნების ყრილობაზე ვანო მაჭავარიანი რო გაივლის სცენაზე და დარბაზში მიშა მაჭავარიანი შემოვარდება:

— ჩამოეთრიე მაინდან!

— მამაჩვენმა იცის!

● მე ისეთი მერი მინდა, ტაქსით რო მიადგები და ფულს გადაგიხდის, ან თუ არ აქვს, მერიის უკანა გასასვლელიდან რო გაგაპარებს :)

● ხე არ ვიცი, მარა 2012-ის ოქტომბერში ვარდები რო დავთესეთ, რა ამოვიდა ხო არ იცით?

● რომ შაყირობთ ამ ხეებზე, ნეტავ კი დარგავდნენ.... ნუ, მილიონს არა —- გარკვეულ დიდ რაოდენობას.... ყველა კანდიდატი დიდი ამბით გვპირდება...მაგრამ მეეჭვება, ნებისმიერი მათგანი, ეგრევე მოაწერს ხელს კიდევ სადმე (გადარჩენილი) ხეების გაჩეხვას ვინმე ჯიბესქელი ინვესტორის პირველივე ხელსაყრელი წინადადების მიღებისთანავე.

● „გუგლი“-ში, „გიორგი“-ს რომ აკრეფთ, ჯერ გიორგი მარგველაშვილს ამოაგდებს და მერე გიორგი ბრწყინვალეს.

არადა, ბრწყინვალებასაც რომ შევეშვათ, ალფაბეტით „ბ“ — „მ“-ზე გაცილებით წინაა.

● კვირის აზრები:

ამ პრადვინუტი ტიპების მოძღვრებებს რომ ვუსმენ, თავი უკანასკნელი მოჰიკანი მგონია, — კაცი კაცისა სწორია სწორნაწლავში აქვს თუ თავში აქვსო, გვიმტკიცებენ! (არ მკითხოთ, რა აქვსო. შევეშვათ გენიტალიების მოხმარების არატრადიციული ინსტრუქციების ქება-დიდებას). მერე სირისტიანი ქალაქელი და ჩამოთრეული გლეხუჭა რამ გაყო, თქვე ჰომოჰოფებოო? — ისე ჩაგეკითხებიან, ვნატრულობ, ნეტა არც ერთი ვიყო და არც მეორეო.

ბოლოსკენ რუსულ აგრესიაც მიაგმობენ უკრაინაში (ჩვენი საქმე ხომ კარგადაა და ახლა სხვა საზრუნავი არ გვაქვს). კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ, ადამიანის უფლებების დაცვა უკანალის მრავალფეროვანი მოხმარების პროპაგანდიდან იწყება და არა სიცოცხლის უფლებიდანო. კმაყოფილები გაგვიღიმებენ, ეს რა კოსტა რამეები ვთქვითო და მორჩა..... ვზივარ ცოტა ხანი დაზაფრული, აშკარად დროებას ჩამორჩენილი, დროებას თუ არა, ბოლო კვირის აზრებს მაინც. მინდა, მეც ვიყვირო ჩემი საკვირაო აზრები, მაგრამ....ჩუ, ჩუ! მე და ჩემისთანების გამო შეიძლება მაპზე უკეთესიც დავკარგოთ.

● დავლიე ლუდი „ზედაზენი“ და განათებულმა უცებ გამოვაცხვე „ანა კარენინას“ გაგრძელება.

ხვალ ორმაგ დოზას დავლევ და „ილიადა-2“-ს დავწერ.

სამმაგი დოზა ალბათ ახალ „ღვთაებრივ კომედიას“ დამაწერინებს. ან ძველს გადამაწერინებს.

● გადავუსწროთ ევროპას:

თუ ქორწილებში სავალდებულო გახდა პატარძლის მიერ ნასროლი თაიგულის დაჭერა, ავდგეთ და ჩვენ გასვენებებშიც დავნერგოთ ჭირისუფლის ნასროლი ვენოკისთვის ბრძოლა.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ აღმოსავლური ორთაბრძოლები

აიკიდოს ნაკრების წევრების წარმატება ევროპის კლუბურ ჩემპიონატზე

საძართველოს აიკიდოს ეროვნული ნაკრების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ბელგიის ქალაქ ანტვერპენში გამართულ ევროპის მე-4 კლუბურ ჩემპიონატზე.

ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა აიკიდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს და ჯამში 7 მედალი – 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ოქროს მედლების მფლობელები რევაზ ცქიფურიშვილი და არარატ საიდაიანი გახდნენ, ვერცხლის მედლები გუნდურ კუმიტეში ვახტანგ სიხარულიძემ და ლაშა როსტომაშვილმა მოიპოვეს, რომლებმაც ასევე ვიცე-ჩემპიონების ტიტული აიღეს დისციპლინაში – კიჰონ კატა, ბრინჯაოს მედლები კი – კორიუ ნო კატაში. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მე-2 ადგილზე გავიდა დიდი ბრიტანეთის შემდეგ.

ბეჭან დოლიძე

◎ ფეხბურთი

ლუის სუარესი პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელია

ინგლისის პრემიერლიგის ლიდერის „ლივერპულის“ ურუგვაელი ბომბარდირი ლუის სუარესი პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა! სუარესი პირველი არაევროპელია, რომელმაც პფა-ს ჯილდო მოიპოვა.

სამხრეთამერიკელისთვის ეს სეზონი ძალიან წარმატებულია. მიუხედავად იმისა, რომ დისკვალიფიკაციის გამო აგვისტო და სექტემბრის დიდი ნაწილი გაუცდა (ის კლუბს მხოლოდ 25 სექტემბერს დაუბრუნდა), დიდებულად ათამაშდა და ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე 30 გოლით პრემიერლიგის საუკეთესო გოლეადორია. საგულისხმოა,

რომ ლუის სუარესი „ლივერპულის“ პირველი ფორვარდია, რომელმაც პრემიერლიგაში ერთ სეზონში შეძლო 30 გოლის გატანა.

„ჩემთვის ეს აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია! მიხარია, თანაგუნდელებმა და მეტოქეებმა საუკეთესოდ რომ მაღიარეს. ვიმედოვნებ, ამ ინდივიდუალურ ტიტულს სეზონის ბოლოს ჩემპიონის სახელსაც დავურთავ“, – განაცხადა სუარესმა დაჯილდოების შემდეგ. მისი „ლივერპული“ პრემიერლიგას 80 ქულით ლიდერობს, თუმცა ყველაფერი უკანასკნელ ტურში გაირკვევა – ჩემპიონატის მოგების შანსს „მანჩესტერ სიტიც“ ინარჩუნებს.

2014 წლის 1 იანვარს, „ჰალ სიტის“ კარში გატანილი გოლით სუარესმა „ლივერპულის“ ლეგენდის რობი ფაულერის მიღწევა გაიმეორა – ზედიზედ ორ სეზონში მოახერხა პრემიერლიგაში 20 გოლის გატანა. ამავდროულად, ის ლიგის რეკორდსმენი გახდა – 20 გოლს 15 შეხვედრაში მოუყარა თავი, რაც მანამდე ვერავინ შეძლო.

1 მარტს, „საუთჰემპტონთან“ 3:0 მოგებულ შეხვედრაში საიუბილეო, მე-100 შეხვედრა ჩაატარა ლივერპულის მაისურით პრემიერლიგაში, 30 მარტს, „ტოტენჰემ ჰოთსფურთან“ 4:0 გამარჯვებაში კი კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი და ფაულერის მორიგი საკლუბო მიღწევა გააუმჯობესა – სეზონში 27 გოლი.

20 აპრილს, როცა „ლივერპულმა“ 3:2 სძლია „ნორვიჩ სიტის“, სუარესმა ერთი გოლი გაიტანა. ლეგენდარული იან რაშის შემდეგ (1986-87 წლები) ურუგვაელი გახდა ენფილდროუდული კლუბის პირველი მოთამაშე, რომელმაც ჩემპიონატში 30 გოლი შეაგდო. ამავდროულად, მხოლოდ და მხოლოდ მეშვიდე პრემიერლიგის ისტორიაში, რომელმაც ამ ნიშნულს უწია. აქამდე 30 ან მეტი გოლი შეაგდეს ენდი კოულმა, ალან შირერმა, კევინ ფილიპსმა, ტიერი ანრომ, კრიშტიანუ რონალდუმ და რობინ ვან პერსიმ.

მიმდინარე სეზონში ლუის სუარესი ორჯერ გახდა პრემიერლიგის თვის საუკეთესო ფეხბურთელი: 2013 წლის დეკემბერში და ახლახან, მარტში. შარშანდელის დარად, ურუგვაელი პფა-ს პრემიერლიგის სეზონის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

სუპერლიგის გენერალური პარტნიორი „ვიტაბიოტიქსი“ გახდა

ბრიტანული კომპანია „ვიტაბიოტიქსი“ საკალათბურთო სუპერლიგის გენერალური პარტნიორი გახდა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში გაფორმდა.

ხელშეკრულებას ხელი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და „სახალხო აფთიაქის“ გენერალურმა დირექტორმა არჩილ მორჩილაძემ მოაწერეს.

ხელშეკრულების თანახმად, „ვიტაბიოტიქსი“ სუპერლიგას სპონსორობას მიმდინარე სეზონის პლეი ოფის მატჩებსა და მომავალ – 2014-2015 წლების სეზონში განახორციელებს. სანაცვლოდ, „ვიტაბიოტიქსის“ ექსკლუზიურ პარტნიორს საქართველოში „სახალხო აფთიაქს“ მიენიჭება სუპერლიგის გენერალური პარტნიორის სტატუსი და ისარგებლებს აღნიშნული პოზიციისთვის განკუთვნილი ყველა პრივილეგიითა და უფლებამოსილებით.

აღსანიშნავია, რომ ვიტაბიოტიქსი მსგავსი ტიპის სპონსორობას უკვე უწევს კაუნასის „ჟალგირისს“.

არჩილ მორჩილაძე („სახალხო აფთიაქის“ გენერალური დირექტორი): ჩვენს კომპანიას უკვე აქვს გამოცდილება და პრაქტიკა სპორტულ სფეროში და ხანგრძლივი დროის მანძილზე თანამშრომლობს კაუნასის „ჟალგირისთან“. „ვიტაბიოტიქსის“ პროდუქცია განკუთვნილია ყველა ასაკისთვის როგორც ბავშვებისთვის, ასევე მოზრდილებისთვის და ვეტერანი კალათბურთელებისთვის. აქ არის სწორად შერჩეული დოზები ასაკობრივი ლიგებისთვის და ჩვენი კომპანია მაქსიმალურად დაეხმარება კალათბურთელებს ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

მიხეილ გაბრიჩიძე (საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი): დღეს განსაკუთრებული დღეა სუპერლიგის ისტორიაში. ეროვნულმა ჩემპიონატმა შეიძინა ძალიან მნიშვნელოვანი გენერალური პარტნიორი – კომპანია „ვიტაბიოტიქსი“, რომელიც გახლავთ ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიოში ვიტამინების წარმოებაში. თანამედროვე სპორტისთვის და მოზარდებისთვის ვიტამინების სწორად შერჩევა არის უმნიშვნელოვანესი და ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს როგორც ასაკობრივი ლიგების განვითარებას, ასევე სუპერლიგის მაღალ დონეზე ჩატარებას.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ნანა ძაგნიძე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია!

საერთაშორისო დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ ელვისებურ ჭადრაკში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

როგორც ვიუწყებოდით, ხანტი-მანსიისკში გამართულ ტურნირზე საქართველოს ღირსებას ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი იცავდნენ.

ნანამ ბლიცში ჩინებულად იასპარეზა და 30-დან 20.5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ჩემპიონის ტიტული ანა მუზიჩუკმა (სლოვენია) მოიპოვა. მესამე ადგილს 20 ქულით ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) დაეუფლა.

ჩემპიონატის მეორე ქართველმა მონაწილე ბელა ხოტენაშვილმა 14.5 ქულა დააგროვა და 34 მონაწილეს შორის 22-ე შედეგი აჩვენა.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

კეი ნიშიკორი: ჩემი მიზანი ათეულში შესვლაა

24 წლის კეი ნიშიკორიმ წლეულს უკვე 2 ტურნირი მოიგო. ბარსელონის შეჯიბრებაზე გამარჯვების შედეგად აზიელი მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-12 ადგილამდე დაწინაურდა და, როგორც თავად აცხადებს, საამსეზონოდ უძლიერესთა ათეულში შესვლას იმედოვნებს.

– უპირველესად რითაა განპირობებული თქვენ მიერ Barcelona Open Banc Sabadell-ზე მოპოვებული შეჯიბრების მთავარი პრიზი?

- მთლიანად ჩემი სამწვრთნელო გუნდის მონდომება და პროფესიონალიზმი რომ არა, ვერაფერს მივაღწევდი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ გაწეული შრომისა და დახმარებისთვის.

– მომავალ ტურნირებზეც წარმატებით გამოსვლის იმედი და საფუძველი თუ გაქვთ?

– ბარსელონაში დაუფლებული ტიტული და მაიამის „მასტერზ1000“-ზე წარმატებული თამაში მეტ დამაჯერებლობას მძენს. ახლო მომავალში მადრიდში, რომსა და საფრანგეთის ღია პირველობაზე ვიასპარეზებ. ვიმედოვნებ, სამივე შეჯიბრებაზე კარგად გამოვალ და სარეიტინგო ქულებსაც ბლომად მოვიხვეჭ.

– გრუნტის საფარიან კორტზე თამაში არ გიჭირთ?

– არა. ამგვარ კორტზე თამაშს ბავშვობიდან კარგად ვარ გაშინაურებული. 14 წლისას გრუნტის საფარის სარბიელზე ბევრი ევროპული ტურნირი მქონდა მოგებული. მართალია, ამჟამად ჰარდზე უფრო კარგად ვგრძნობ თავს, ვიდრე გრუნტზე, მაგრამ ბოლო რამდენიმე სეზონია „როლან გაროსის“ ტიპის საფარზეც საკმაოდ წარმატებით გამოვდივარ და ამგვარ კორტზე საასპარეზოდ გასვლისას შიშის გრძნობაც არ მაქვს.

– მიმდინარე სეზონის მსვლელობისას რა მიზნის მიღწევას ისახავთ?

– ჩემი მომდევნო ამოცანა რეიტინგსიის პირველ ათეულში მოხვედრაა. ასევე ვიმედოვნებ, რომ წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაშის უფლებას მოვიპოვებ. ყველაზე რთული მოპოვებულის შენარჩუნებაა, მაგრამ მიღწეულის გაუმჯობესებაზე ვფიქრობ.

ნატა ნიგლაძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

კოშტა: ჩელსი შეგვიტევს

მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელის დიეგო კოშტას განცხადებით, ლონდონის „ჩელსი“ მომავალ ნახევარფინალურ დაპირისპირებაში შემტევ ფეხბურთს ითამაშებს.

ესპანელი ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ მადრიდელებთან და „ლივერპულთან“ „არისტოკრატებმა“ დაცვითი თამაშით წარმატებით იასპარეზეს.

„არ ვნერვიულობ, დიდი მატჩი გველოდება და ამით უნდა დავტკბეთ. განსხვავებულ დაპირისპირებას ველოდები, „ჩელსი“ აგრესიულად ითამაშებს, რაც ბოლო ორ შეხვედრაში არ გააკეთა. ძალიან მინდა ჩემპიონთა ლიგაზე და ესპანეთში წარმატებას მივაღწიოთ და გულშემატკივრები გავახაროთ“, – განაცხადა დიეგო კოშტამ.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსის“ და „ატლეტიკოს“ საპასუხო ნახევარფინალური დაპირისპირება დღეს, თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ᲒᲔᲓᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ

გამოთხოვება მამულიშვილთან

გასულ შაბათს, 26 აპრილს, თბილისში პეტრე ხვედელიძის ნეშტი მშობლიურ მიწას მიაბარეს. ქართული საზოგადოება ცრემლით გამოეთხოვა თავის თვალსაჩინო წარმომადგენელს — უხუცეს ქართველ ემიგრანტს (96 წლის), რომელიც აშშ-დან ჩამოასვენეს საქართველოში. თბილისში დიდუბის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში ჯერ პანაშვიდი გაიმართა, შემდეგ იგი დაკრძალეს მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა დიდუბის პანთეონში.



გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ქართული საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ბატონი პეტრე უსპეტაკესი, მაღალი ზნეობის მატარებელი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, ეროვნული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე პიროვნება იყო.

პეტრე ხვედელიძის მდიდარი პირადი არქივი და ბიბლიოთეკა, რომელმაც საქართველოს ემიგრაციის ისტორიას საინტერესო ფურცლები შემოუნახა, საშუალებას იძლევა გავიხსენოთ, თუ როგორი იყო საქართველოზე ზრუნვითა და ფიქრით აღსავსე ქართული ემიგრაციის საზოგადო თუ ყოველდღიური ცხოვრება, რას საქმიანობდნენ მისი წევრები, როგორ უყვარდათ სამშობლო და ოცნებობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და თავისუფლებაზე.

პეტრე ხვედელიძე დიდი ქველმოქმედიც გახლდათ და აქტიურ მხარდაჭერას უწევდა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მორალურად ამხნევებდა ავღანეთის მისიაში მონაწილე, დაჭრილ ქართველ მეომრებს, რომლებიც სარეაბილიტაციო კურსს ვაშინგტონის სამხედრო ჰოსპიტალში გადიოდნენ და მშობელ მამასავით ზრუნავდა მათზე.

ვინ იყო პეტრე ხვედელიძე და რა გზა განვლო მან? ის დაიბადა 1918 წლის 25 იანვარს თბილისში — ოჯახში, სადაც ხუთი ბავშვი იზრდებოდა. მამა - რკინიგზის მუშა იყო, არაპროფესიონალი, მაგრამ ძალიან კარგი მოჭიდავე.ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ძმებს სპორტში გარკვეული წარმატებები ჰქონდათ.

1937 წელს დაამთავრა მე-10 საჯარო სკოლა. 1939 წელს სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში გაემგზავრა, მაგრამ სამ თვეში უკან დაბრუნდა, რადგან ჯარში გაწვევის უწყება მიიღო. ამავე წლის 6 ნოემბერს დაიწყო არმიაში სამსახური. 1940 წელს ჩაირიცხა პოლკის ასეულის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგაც მიიღო ლეიტენანტის წოდება. 1941 წლის 22 ივნისს, სამამულო ომის დაწყების დღეს მისი სამხედრო ნაწილი ბესარაბიაში იდგა. მებრძოლები სამი კვირა მიდიოდნენ აღმოსავლეთისკენ, რათა როგორმე სამშვიდობოს გაეღწიათ. დიდი მცდელობის მიუხედავად, წითელარმიელებმა ალყის გარღვევა ვერ მოახერხეს და მრავალი მათგანი ტყვედ ჩავარდა, მათ შორის პეტრე ხვედელიძეც. 12 ივლისიდან ცხრა თვე გერმანელთა ტყვეობაში გაატარა.

1944 წლის გაზაფხულზე გაგზავნეს სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ კასტრში. აგვისტოს თვეში ლეგიონი შარლ დე გოლის ნაწილებს შეუერთდა. 1944-1948 წლებში საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონი ჩრდილოეთ აფრიკაშია. 1948 წელს ლეგიონი მონაწილეობს ვიეტნამის ომში, საიდანაც მძიმედ დაჭრილ პეტრე ხვედელიძეს უკან აბრუნებენ. ოპერაციისა და თითქმის სამწლიანი მკურნალობის შემდეგ 1951 წელს, როგორც ინვალიდი, გაათავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან.

უცხოელთა ლეგიონში შვიდწლიანი მსახურობის პერიოდში პეტრე ხვედელიძეს მიღებული ჰქონდა მედალი და ჯილდოები. ლეგიონი სერჟანტის ჩინით დატოვა და ნაწილობრივი პენსია დაენიშნა.

სამხედრო კარიერის შეწყვეტის შემდეგ, 1951 წელს პეტრე ხვედელიძეს, როგორც ომის ვეტერანს, სპეციალობის მისაღებად გზავნიან რადიო-ტელევიზიის საქმის შესასწავლად, 1955 წელს იგი ამთავრებს ელექტრონიკის ტექნიკურ სასწავლებელს და ერთი წელი მსახურობს რადიოაპარატურის დამამზადებელ ფრანგულ კომპანიაში. 1956 წელს, 38 წლის ასაკში მიიღო გადაწყვეტილება, დაეტოვებინა საფრანგეთი. დაიწყო მისი მეორე ემიგრაცია, ამჯერად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკაში ათი წლის მანძილზე ცხოვრობდა ნიუ-იორკში, სადაც დაამთავრა ამერიკის რადიოკორპორაციის ტექნიკური სასწავლებელი. 11 წელი და 6 თვე იმსახურა როგორც ტექნიკოსმა. მუშაობის პარალელურად, დამატებითი განათლების მისაღებად საღამოს სხვადასხვა სკოლაში სწავლობდა. ორი წელი კი Queens College-ში ისწავლა. 1958 წელს აირჩიეს აშშ ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრად, შემდეგ კი მდივნად. 1963 წელს მიიღო ამერიკის მოქალაქეობა.

სამწუხაროდ რამდენიმე წლის შემდეგ შტატებში ეკონომიკური კრიზისის გამო, პეტრე ხვედელიძემ თავისი სპეციალობით სამუშაო დაკარგა, ქართული სათვისტომოს მდივნობის ვადაც ამოეწურა და უმუშევარი დარჩა. ასეთ ვითარებაში, მეგობრების რჩევით, „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტის ვაკანსიაზე შეიტანა განაცხადი და გაუმართლა. 1967 წლის 1 მაისიდან მიიწვიეს „ამერიკის ხმის“ ქართულ განყოფილებაში. მისი გადაცემის ერთადერთი დევიზი იყო სიმართლე და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ობიექტური ანალიზი. რედაქციაში მუშაობისას მიღებული აქვს სიგელები და მადლობები.

1985 წლის ივნისიდან პენსიაზე იყო. 95 წლის უხუცესი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობდა ვაშინგტონში, წერდა მემუარებს. იგი რუდუნებით ინახავდა ყველა წერილსა და დოკუმენტს, ყველა მოგონებას, რომლებზეც საქართველოში მწირი ინფორმაცია იყო. როგორც სპეციალისტები ამბობენ, პეტრე ხვედელიძისადმი მიწერილი წერილებიდან მთელი საქართველოსა და ემიგრირებული ქართველების რეალური სურათის დანახვა შეიძლება. მდიდარი პირადი არქივისა და ბიბლიოთეკის დამუშავებაში 2004 წლიდან ამერიკაში მცხოვრები მკვლევარი ციცინო ჯერვალიძე ეხმარებოდა. მათი ერთობლივი შრომის შედეგად

უკვე გამოიცა ეპისტოლარული ჟანრის ორი ტომი საერთო სათაურით — „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“. ეს წიგნები ქართული ემიგრაციის მეორე თაობის ისტორიის მნიშვნელოვან ფრაგმენტებს მოიცავს. პირველ წიგნს საფუძვლად დაედო საფრანგეთში ქართული ემიგრაციის ყოფილი თავკაცის ლევან ზურაბიშვილის მიმოწერა პეტრე ხვედელიძესთან, ხოლო მეორეში გავეცანით ცნობილი საზოგადო მოღვაწის რევაზ გაბაშვილის წერილებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პეტრე ხვედელიძეს აქტიური მიმოწერა ჰქონდა ილია კუჭუხიძესთან, ალექსანდრე მანველიშვილთან და ქართული ემიგრაციის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდეგი წიგნიც გამზადებულია და მალე გამოვა...

პეტრე ხვედელიძის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებაში და დიდუბის პანთეონში დაკრძალვაში დიდი წვლილი შეიტანეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის თანამშრობლებმა, დიასპორების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონსტანტინე სურგულაძემ და მისი აპარატის მუშაკებმა.

მამია ალაშვილი

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.



მეუღლე დოდო კამარაული, შვილები მარიამ, ნონა, დათო ჩოფიკაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ როდინას ძე ჩოფიკაშვილი

პანაშვიდი 29, 30 IV, 17 სთ. დაკრძალვა 1 V, 16 სთ. მისამართი: სტეფანწმინდა (ყაზბეგი).

თენგიზ წივწივაძის ოჯახი გულისტკივილით და მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მერაბ როდინას ძე ჩოფიკაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რიმა ფიცხელაური ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საყვარელი მამიდაშვილის, ყაზბეგის რაიონის სიამაყის, იშვიათი კოლორიტული პიროვნების, ღირსეული ოჯახის შვილის, კაცმოყვარეობით, კეთილი საქმის კეთებით, მეგობრობით, ჭირსა და ლხინში თანადგომით, სტუმართმოყვარეობით, ქართული ტრადიციებით გამორჩეული შესანიშნავი პიროვნების

მერაბ როდინას ძე ჩოფიკაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

მეუღლე მერაბ ჯიბლაძე, შვილი მაკა, შვილიშვილი ეკატერინე, და მზია, სიძე იოსები, დისწული ნინო იუწყებიან

ნანი ნოდია-ჯიბლაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 V, 17 სთ. გამოსვენება 3 V, 15 სთ. მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 16, I სადარბაზო.

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

რუსთავში ულიცენზიო მძღოლების დაჯარიმება დაიწყო

რუსთავის მერიის მოსაკრებლების სამსახურმა რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზებზე ლიცენზიის გარეშე მომუშავე მიკროავტობუსების მძღოლების დაჯარიმება დაიწყო.

მოსაკრებლების სამსახურის მიერ დაჯარიმებული მძღოლები თანხის გადახდას არ აპირებენ, ისინი აქციებითა და სასამართლოში სარჩელის შეტანით იმუქრებიან.

რუსთავის მერიის მოსაკრებლების სამსახურის უფროსი ზაქრო დათუაშვილი აცხადებს, რომ მძღოლების დაჯარიმებისას მისი თანამშრომლები კანონის ფარგლებში მოქმედებენ, ადვოკატ რიჟამაძეს კი ისინი შეცდომაში შეჰყავს და მათით მანიპულირებს.

„მძღოლებს, რომელთა დაჯარიმებასაც დღეს ახორციელებს მოსაკრებლის სამსახური, ამ ეტაპზე არ გააჩნიათ ლიცენზია მგზავრთა გადაყვანაზე, შესაბამისად ისინი არღვევენ კანონს. ადვოკატი რევაზ რიჟამაძე კი გარკვეული მოსაზრებების, სავარაუდოდ საკუთრი ინტერესების გამო, იყენებს ამ ადამიანებს და შეცდომაში შეჰყავს ისინი. მძღოლები, რომლებიც დღეს კანონის დარღვევით აწარმოებენ მგზავრთა გადაყვანას, სწორედ მისი მითითებით მოქმედებენ. ჩვენს სამსახურს პირდაპირ ავალდებულებს კანონი, მოახდინოს რეაგირება მსგავს სიტუაციებში და სხვაგვარად მოქცევის შემთხვევაში, ჩვენ დავარღვევთ კანონს. ჩვენ არა ერთი გაფრთხილება მივეცით მათ ვინც ლიცენზიის გარეშე აწარმოებს მგზავრთა გადაყვანას რუსთავი-თბილისის მარშრუტზე და საჯარიმო სანქციების შესახებაც გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია, თუმცა, მათ ეს არ გაითვალისწინეს„, - განაცხადა ზაქრო დათუაშვილმა.

უკვე მესამე დღეა, რაც რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მგზავრთა გადაყვანას კონკურსში გამარჯვებული კომპანია „ინტერტრანსი“ ახორციელებს, რუსთაველი მძღოლების ერთი ნაწილი უწინდებურად მათთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ, თუმცა, აღნიშნულ ხაზზე ლიცენზიის გარეშე აგრძელებენ მუშაობას. მძღოლთა ეს ნაწილი კონ-

კურსის შედეგების გაუქმების მოთხოვნით ორი თვის განმავლობაში საპროტესტო აქციებს მართავდა. მძღოლების ინტერესებს კვლავ ადვოკატი რევაზ რიჟამაძე იცავს. რიჟამაძე ამავე დროს რუსთავის მერობის კანდიდატადაა წარდგენილი „ლეიბორისტული პარტიიდან“.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

2014 ᲬᲚᲘᲡ 16 მაისს 18 საათზე შედგება სს „საქტელეფონმშენის“ აქციონერთა რიგითი კრება

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. 2013 წლის შედეგების განხილვა.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

◎ ტესტი

სტრესით თუ უიმისოდ?..

გაიარეთ ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად შეგიძლიათ გაუმკლავდეთ სტრესს, რაც ყოველდღიურად ჩასაფრებულია XXI საუკუნის ჩვენს ბობოქარ ცხოვრებაში.

1. როდესაც სუპერმარკეტში იყავით, მოისმინეთ განცხადება, რომ აუცილებელია, ყველამ რაც შეიძლება სწრაფად დატოვოს შენობა. თქვენი რეაქცია?

ა) შეეცდებით, აუჩქარებლად გააკეთოთ ეს.

ბ) შეეცდებით, გამოარკვიოთ, რა მოხდა და, როდესაც გაიგებთ, რაშია საქმე, გადადგამთ მომავალ ნაბიჯებს.

გ) გავარდებით გასასვლელისკენ ისე, რომ არც გაერკვევით სიტუაციაში.

2. სამსახურში პროექტის განხილვის დროს თქვენი გამოსვლის შემდეგ ყველამ თქვენზე დაიწყო სიცილი.

ა) არაფერიც არ მოხდა, ყველაფერი ხუმრობაში გადაგაქვთ.

ბ) უკიდურესად უკმაყოფილო დარჩით, მაგრამ არ შეიმჩნიეთ.

გ) თუ თქვენს აზრს ასე არ სცემენ პატივს, ადგებით და დატოვებთ თათბირს.

3. ტელეფონით საუბრის დროს სერიოზული კონფლიქტი წარმოიქმნა მოსაუბრესთან. თქვენ:

ა) საუბარს აღარ აგრძელებთ და დებთ ტელეფონს.

ბ) უმალვე ცდილობთ ჩაიცროთ კონფლიქტი.

გ) წყვეტთ ურთიერთობას, ამბობთ, რომ „ეს სატელეფონო საუბარი არაა“.

4. მეგობრები დაპატიჟეთ რესტორანში. როდესაც გადახდას დაიპირებთ, აღმოაჩენთ, რომ საფულე დაგავიწყდათ. თქვენი რეაქცია?

ა) ვის არ მოსვლია ასეთი რამ, აქვე ხომ მეგობრები არიან...

ბ) მეტად უხერხულად გრძნობთ თავს, წითლდებით და გრცხვენიათ მეგობრებისა, მთელი დღე ცუდ გუნებაზე ხართ.

გ) სირცხვილისგან გსურთ, მიწა გაგისკდეთ და შიგ ჩავარდეთ.

5. უფროსმა სასაუბროდ მიგიწვიათ ხვალისთვის, გადაკვრით გითხრათ მხოლოდ, რომ ეს საუბარი თქვენთვის მნიშვნელოვანი იქნება. თქვენ:

ა) იწყებთ სულ იმაზე ფიქრს, რაზე იქნება საუბარი, ელოდებით მას შიშით.

ბ) დაელოდებით შეხვედრას, თქვენთვის სასიამოვნო ამბების მოლოდინში.

გ) ნათქვამს მიიღებთ ცნობად, თუმცა, წინასწარ არც იფიქრებთ, რაზე იქნება საუბარი.

6. ბანკეტზე ერთ-ერთი სტუმარი აშკარად ფლირტაობს, კომპლიმენტებს სთავაზობს თქვენს მეგობარს. როგორია თქვენი რეაქცია?

ა) გესიამოვნებათ, რომ თქვენს გვერდითაა ადამიანი, რომელსაც ყურადღებას აქცევენ.

ბ) გაღიზიანებას მალავთ, ტაქტიკურად აგრძნობინებთ მას, ვინც ფლირტაობს, რომ ეს თქვენ არ გსიამოვნებთ.

გ) პირდაპირ სხვების თვალწინ იწყებთ ურთიერთობის გარკვევას.

7. თქვენ დიდი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მოწმე გახდით...

ა) რაც შეიძლება მალე დატოვებთ მომხდარი ამბის ადგილს.

ბ) გაჩერდებით და დაიწყებთ ყურებას.

გ) უმალვე შეეცდებით გაუწიოთ პირველადი დახმარება დაზარალებულს.

8. ხშირად მოგდით თავში აზრი: „ასე გამოვიდა, და მე აქ არაფრის გაკეთება არ შემიძლია“?

ა) დიახ.

ბ) ზოგჯერ ასეც ხდება.

გ) იშვიათად.

9. ტრანსპორტში „ჭყლეტის“ დროს ერთი და იგივე ადამიანი რამდენჯერმე გადგამთ ფეხს. როგორ მოიქცევით?

ა) არ მიაქცევთ ამას ყურადღებას, ოღონდ, თუ იგი ბოდიშს მოიხდის.

ბ) აუცილებლად გამოთქვამთ თქვენს აღშფოთებას და მოითხოვთ, რომ ბოდიში მოიხადონ.

გ) ყურადღებას არ მიაქცევთ: პიკის საათებში თქვენც ხშირად დაგიდგამთ ფეხი სხვისთვის.

10. როდესაც გეჩქარებათ, გზაში ეყრებით ძველ ნაცნობს, ვინც ძალიან დიდი ხანია, არ გინახავთ: მას ძალიან აინტერესებს თქვენი ამბები და გეკითხებათ ბევრ რამეზე. როგორ მოიქცევით?

ა) ერთვებით საუბარში, თუნდაც იმის რისკით, რომ დაგაგვიანდებათ.

ბ) იწყებთ ნერვიულობას, მაგრამ გამონახავთ ერთ-ორ წუთს, რომ ერთმანეთს გაუზიაროთ ახალი ამბები.

გ) მოუთმენლად აწყვეტინებთ და ჰპირდებით, რომ სხვა დროს ეტყვით ყველაფერს.

დაიანგარიშეთ ქულები ცხრილის დახმარებით

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ა	2	3	1	3	1	3	1	1	2	3
ბ	3	2	3	2	3	2	2	2	1	2
გ	1	1	2	1	2	1	3	3	3	1

10-16 ქულა. ალბათ, ზოგჯერ თუნდაც მცირეოდენი მასშტაბის დავას კოლეგებთან ან წაკინკლავებას ნათესავებთან შეუძლიათ გამოგიყვანონ მწყობრიდან. ეცადეთ, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც გაქვთ სულიერი სიმშვიდე. შეძლებისდაგვარად, ერიდეთ ნებისმიერ კონფლიქტს, რომ ემოციების ტყვეობაში არ ჩაიდინოთ მოუფიქრებელი საქციელი, რაზეც მოგვიანებით მოგიწევთ წუხილი.

17-23 ქულა. ზოგჯერ, გულახდილად რომ ვილაპარაკოთ, თქვენ არ ცდილობთ გვერდი აუაროთ მწვავე საკითხებს და თავად აღმოჩნდებით ხოლმე ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეგეძლოთ თავიდან აგეცილებინათ. მიუხედავად ამისა, კრიტიკულ ვითარებაში თქვენს ორგანიზმს აქვს ფარული რეზერვები, და თქვენ ხშირად ღირსეულად ჭრით სტრესული სიტუაციიდან გამოსვლის რთულ ამოცანას. ამასთან დაკავშირებით გაითვალისწინეთ ჩვენი წინაპრების სიტყვები: „ჭკვიანმა კაცმა იცის, როგორ გადალახოს სიძნელეები, ბრძენმა კი — როგორ აიცილოს ისინი თავიდან“.

24-30 ქულა. დღევანდელი ცხოვრების ელვისებური რიტმის მიუხედავად, თქვენ, როგორც ჩანს, ხართ ადამიანი, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნოს წონასწორობა და მზად ხართ, გაიზიაროთ აზრი, რომ სტრესისა არ უნდა გეშინოდეს, იგი უნდა მართო. თუ აღმოჩნდებით ხოლმე სხვადასხვა არასასიამოვნო სიტუაციებში, უმთავრესად იქცევით პრაგმატულად, არ კარგავთ უნარს ადეკვატურად შეაფასოთ ის, რაც ხდება.

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები მაისში

მაისში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 4-7, 11-14, 18, 21-25, 28-30 რიცხვებში.

ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის ამაღლება, სეისმოაქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.

4 — მთვარის იუპიტერთან შეერთება კიბორჩხალაში. კარგი მადის პირობებში (საკვები ამ დროს კარგად აითვისება) შესაძლებელია წონის მომატება. ხელსაყრელი დროა ბინის მოწყობისთვის. ამ დღეს კარგია სეირნობა, ქველმოქმედების გაწევა, ფილოსოფიის შესწავლა.

7 — მთვარის პირველი მეოთხედი. ყურადღებით იყავით ტრანსპორტში მოგზაურობის, დოკუმენტების შედგენის, რაიმეს ყიდვის დროს. შესაძლებელია გულის დაავადებათა გამწვავება. არ არის გამორიცხული რადიკულიტი, უძილობა, ტკივილები ხელებში. სასარგებლოა გასეირნება, ფიზიკური ვარჯიშები, სრულფასოვანი ძილი.



11- მთვარის შეერთება მარსთან სასწორში. შესაძლებელია თავის ტკივილები, ცუდი ძილი. არ არის გამორიცხული თირკმელებთან და საშარდე ბუშტთან დაკავშირებული პრობლემები. ერიდეთ ტრავმატიზმს, გაცივებას, კონფლიქტებს. ხელსაყრელი დროა აქტიური დასვენებისთვის, მახლობელ ადამიანებთან ურთიერთობისთვის.

14 — მთვარისა და სატურნის შეერთება კიბორჩხალაში, სრული მთვარე. მწვავდება ქრონიკული დაავადებები, იზრდება არტერიული წნევა, ძლიერდება ანთებითი პროცესები. დაიცავით დიეტა, გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას.

18 — მთვარისა და პლუტონის შეერთება თხის რძაში, მთვარის აპოგეა. დიდია გამომყოფი სისტემის ორგანოების, კბილების, საყრდენ-მოძრავი აპარატის, კანის დაავადების ალბათობა. ერიდეთ ტრავმატიზმს, თავი აარიდეთ მძიმე ფიზიკურ დატვირთვას.

22 — მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზებში. არ არის გამორიცხული თავბრუსხვევა, ტკივილები ფეხებში, მხედველობის გაუარესება. ერიდეთ ტრავმატიზმს, მოწამვლას, მოტყუებასა და ქურდობას. უარი თქვით ალკოჰოლზე. ხელსაყრელი დღეა წამოწყებული საქმეების დასამთავრებლად.

24 — მთვარის ურანთან შეერთება ვერძში. ერიდეთ ტრავმატიზმს, კონფლიქტებს, დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი. არ ღირს საპასუხისმგებლო საქმეების დაგეგმვა და ადამიანთა დიდი თავშეყრის ადგილას მისვლა. სასარგებლოა მსუბუქი გასეირნება, შემოქმედებითი საქმიანობა.

25 — მთვარის ვენერასთან შეერთება ვერძში. შესაძლებელია თავის ტკივილები, კანთან დაკავშირებული პრობლემები. ერიდეთ გონებრივ და ფიზიკურ გადაღლას, უარი თქვით მოწევასა და ალკოჰოლზე. სასარგებლოა ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები, მიეცით თვალებს დასვენების საშუალება.

28 — სავსე მთვარე. შესაძლებელია კვებითი მოწამვლები, გაზრდილია თრომბების წარმოქმნის რისკი. არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება, ოპერაციებისა და აცრების ჩატარება.

30 — მთვარის მერკურთან შეერთება კიბორჩხალაში, ვენერა ტყუპების პირველ გრადუსებშია. შეიძლება შეგაწუხოთ სპაზმებმა, ნევრალგიამ. აუცილებელია, დავიცვათ დიეტა, ვერიდოთ გაცივებას, დავიცვათ სიფრთხილე გზებზე.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— დედიკო, მეძახდი?

— არა.

— მამი, შენ მეძახდი?

— არა.

— კარგი, მაშინ სხვანაირად შეგეკითხებით, დღეს საერთოდ ჩავხეთქავთ რამეს?

* * *

— შვილო, ვინ გასწავლა ასეთი საშინელი გინება?

— თოვლის ბაბუამ, როდესაც იგი ღამით ჩემს ოთახში ჩემს ველოსიპედს დაეჯახა.

— რატომ მუშაობენ ექიმები ერთნახევარ განაკვეთზე?

— იმიტომ, რომ ერთ განაკვეთზე მუშაობით პურის ფულს ვერ შოულობენ, ორ განაკვეთზე მუშაობისას კი პურის საჭმელი დრო არ რჩებათ.

* * *

ცოლს მოულოდნელად ეწვია დაქალი. ცოლი მაღაზიაში გაიქცა ტკბილეულის საყიდლად. უკან მობრუნებული ხედავს, რომ მის დაქალს მისი ქმარი წამოსჯდომია...

მუნჯური სცენა...

და მერე ქმრის საყვედურიანი შეძახილი: — რამდენჯერ გითხარი, სახლში კახპები ნუ მოგყავს-მეთქი!

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24